შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№4 (10.159)

22—28 თებერვალი 2025 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სოფლის პროგრამის პრიორიტეტები გამოვლინდა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისთვის პრიორიტეტების გამოსავლენად სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობასთან კონსულტაციები და სოფლის კრებები გასულ კვირასაც გაგრძელდა.

პროგრამით განსახორციელებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან შეხვედრები 14 თებერვალს ოზაანში, თავწყაროს დასახლებაში, ხორნაბუჯსა და ჭოეთში გაიმართა. 20 თებერვალს კი მირზაანში, ზემო მაჩხაანსა და არბოშიკში. შეხვედრებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები გელა სამუკაშვილი და მალხაზ მერაბიშვილი ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან, საკრებულოს წევრებთან და მერიის შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებთან ერთად დაესწრნენ.

მოსახლეობის გადაწყვეტილებით, ხმათა უმრავლესობით ოზაანში პრიორიტეტად - სპორტული ტრენაჟორების მოწყობა და ადმინისტრაციულ შენობაში არსებული ოთახის ნაწილობრივი რეაბილიტაცია დასახელდა, თავწყაროს დასახლებაში სოფელში არსებული წყაროს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ხორნაბუჯში მუნიციპალური ტრანსპორტისთვის მოსაცდელების მოწყობა, ხოლო ჭოეთში - მინი სტადიონის მოწყობა დასახელდა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი): „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა ათ წელზე მეტია ხორციელდება. მხოლოდ ერთი წელი იყო, როცა პროგრამა არ შედგა - ეს მოხდა 2015, ან 2016 წელს. კარგად მახსოვს იმხელა დანაკლისს ვგრძნობდი და იმდენად ეფექტური პროგრამა იყო და წინა წლების მაგალითზე ისე კარგად იმუშავა ამ მოდელმა, რომ მაშინ გადავწყვიტეთ ცენტრალური ბიუჯეტის ნაცვლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოგვეყო თანხები და ეს პროგრამა მაინც დაგვეწყო. იგივე სქემით ვიმოქმედეთ, ზამთრის ბოლოს ჩავატარეთ სოფლებში შეხვედრები, გამოვავლინეთ პრიორიტეტული საკითხები და შევასრულეთ მოსახლეობის დაკვეთა. მოგეხსენებათ, ადგილობრივი თვითმმართველობა ყველაზე ახლოს დგას მოსახლეობასთან, საკუთარ ამომრჩეველთან. ეს პროგრამა კი საუკეთესო საშუალებაა საიმისოდ, რომ ადგილობრივების მასიური ჩართულობით ყველა სოფელმა თავად გადაწყვიტოს რაში დაიხარჯოს იმ წელს თანხა, რა საჭიროება აქვს ყველაზე მეტად იმ მომენტში ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობას და რა მიმართულებით სჭირდებათ ხელისუფლების მხარდაჭერა. საკმაოდ ხალხმრავალი შეხვედრები ტარდება ხოლმე და სოფლის მოსახლეობა ყოველთვის ინტერესდება რა გეგმები აქვს მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას ამა თუ იმ საკითხზე და თავადაც გვიზიარებენ საკუთარ იდეებს და პრობლემებს. ინფორმაციის ურთიერთგაცვლა ყოველწლიურად ხდება და სოფლის პროგრამას ყოველთვის გავცდებით ხოლმე. ჩვენთვის ეს კრებები საუკეთესო საშუალებაა, რომ საზოგადოების მაჯისცემაზე ხელი გვედოს და მოსახლეობის პულსაციას ვგრძნობდეთ, რათა უფრო ოპერატიულები ვიყოთ. ყოველდღიურობას ახალ-ახალი გამოწვევები მოაქვს და ეს ურთიერთობები ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ეს დამოკიდებულება შესაძლებლობას გვაძლევს, არჩევნების მოახლოების დროს წინასაარჩევნო შეხვედრების ფარგლებში უფრო თამამად მივიდეთ მოსახლეობასთან და თანადგომა ვთხოვოთ. ყველა განვლილმა არჩევნებმა დედოფლისწყაროში ნათლად აჩვენა, რომ მოსახლეობა ჩვენს მუშაობას კარგად ხედავს, აფასებს და გვერდში დგომას ამიტომაც გამოხატავს. გარდა სოფლის პროგრამის სამუშაოებისა, ამ შეხვედრების დროს სხვა საკითხებიც წამოიჭრება ხოლმე და ამ მხრივაც მნიშვნელოვანია ასეთი შეხვედრები. ამიტომ, სოფლის კრებებზე გამოკვეთილ სხვა პრობლემებს, რასაც ამ პროგრამის თანხა არ ჰყოფნის და ღიად რჩება, ხშირად სხვა პროგრამების ბიუჯეტიდან ვაფინანსებთ და ადგილობრივების მოთხოვნებს ასე ვპასუხობთ.

/დასასრული გვ 3/

ზემო მაჩხაანი

ოზაანში სავარჯიშო სივრცეებს მოაწყობენ

ხორნაბუჯში მუნიციპალური ტრანსპორტის მოსაცდელები მოეწყობა

სპორტული დარბაზების რეაბილიტაცია დაიწყო

უშუ-ს დარბაზი

ორი სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია დაიწყო. ქალაქ დედოფლისწყაროში არსებული სპორტდარბაზის რეაბილიტაციის და ქალაქ დედოფლისწყაროში არსებული „უშუ სანდა"-ს დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის მერიამ ტენდერი გამოაცხადა, რისთვისაც 281 589 ლარია გათვალისწინებული.

17 იანვარს ტენდერი არ შედგა, ამიტომ მერიამ კომპანიის შესარჩევად ტენდერი 22 იანვარს კიდევ ერთხელ გამოაცხადა. 3 თებერვალს კი ტენდერში კომპანია „ტექნოსერვისი 1"-მა გაიმარჯვა. სამუშაოების მწარმოებელმა დამკვეთს რეაბილიტირებული ობიექტები მიმდინარე წლის ივნისში უნდა ჩააბაროს.

როგორც „შირაქმა" გაარკვია, დაიწყება კულტურის სახლის წინ მდებარე სპორტის ცენტრის შენობის დარბაზის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. ძირითადად, პრობლემებს ამორტიზებული იატაკი ქმნიდა. შენობა 2012 წლის შემდეგ აღარ გარემონტებულა. რეაბილიტაციის გეგმა შპს „ალდაგინი"-მ შეასრულა.

უშუ-ს გუნდი კი დღემდე მიტოვებულ, ამორტიზებულ შენობაში მოქმედებდა და შენობა ძირეულ რეაბილიტაციას საჭიროებს. პროექტის მიხედვით მოეწყობა სველი წერტილებიც და კეთილმოწყობა მისი ეზოც. ამ დროისთვის უკვე მიმდინარეობს სახურავის გამოცვლა.

„არც ველოდით, იმდენად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები. როგორც გვითხრეს, 4 თვიანი პროექტია. ძალიან კმაყოფილი ვართ პროცესით, მადლობა მერიას მხარდაჭერისთვის" – უთხრა „შირაქს" მწვრთნელმა ლუკა პოპიაშვილმა. **შირაქი**

მთავრობა წელს ტურიზმიდან 6.6 მლრდ დოლარამდე შემოსავალს ელოდება - რა წერია სტრატეგიაში

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ და ეკონომიკის სამინისტრომ „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“ მოამზადეს. დოკუმენტში საუბარია რამდენიმე ძირითად მიზანზე, რასაც სექტორმა მიმდინარე წელს უნდა მიაღწიოს.

ასე მაგალითად, 2025 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 6.6 მლრდ დოლარამდე, ვიზიტორთა რაოდენობა კი 11 მილიონამდე უნდა გაიზარდოს. დაგეგმილია ტურიზმის წილის ზრდა მშპ-ში 7.9%-მდე.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველო მიზნად ისახავს თითოეული ტურისტის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხის 600 დოლარამდე, ხოლო ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის 7 დღემდე გაზრდას.

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ და ეკონომიკის სამინისტრომ „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“ მოამზადეს. დოკუმენტში საუბარია რამდენიმე ძირითად მიზანზე, რასაც სექტორმა მიმდინარე წელს უნდა მიაღწიოს.

ასე მაგალითად, 2025 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 6.6 მლრდ დოლარამდე, ვიზიტორთა რაოდენობა კი 11 მილიონამდე უნდა გაიზარდოს. დაგეგმილია ტურიზმის წილის ზრდა მშპ-ში 7.9%-მდე.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველო მიზნად ისახავს თითოეული ტურისტის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხის 600 დოლარამდე, ხოლო ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის 7 დღემდე გაზრდას.

„2015 წელთან შედარებით, სექტორი მიზნად ისახავს დასავლეთ ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან ვიზიტორთა რაოდენობის გაორმაგებას“, - აღნიშნულია დოკუმენტში.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში ტურიზმის სექტორში დასაქმებული პირების რაოდენობა ათწლიან პერიოდში 90%-ით უნდა გაიზარდოს (2015 წელი - 158 515 პირი) და 2025 წელს 301 284-ს უნდა მიაღწიოს. ამასთანავე, დოკუმენტი მიზნად ისახავს ათწლიან ჭრილში ინვესტიციების 63%-ით 1.17 მილიარდ აშშ დოლარამდე ზრდასაც.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური ინფორმაციას ავრცელებს

„2024 წლის IV კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 14.2 პროცენტი შეადგინა“, - ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

საქსტატის ცნობით, 2024 წლის IV კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაქირავებულთა რიცხოვნობა გაიზარდა 20.1 ათასი კაცით (2.1%) და 978.5 ათასს მიაღწია, ხოლო თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა 19.7 ათასით გაიზარდა (4.8%) და 433.5 ათასი შეადგინა. ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა შემცირდა 14.7 ათასით (5.9%) და 233.9 ათასი შეადგინა.

„2024 წლის IV კვარტალში სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (სამუშაო ძალის წილი 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 54.9 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო დასაქმების დონე გაიზარდა 1.1 პროცენტული პუნქტით და 47.1 პროცენტი შეადგინა. სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში გაზრდილია 0.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 1.2 პროცენტული პუნქტით. დასაქმების დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში გაზრდილია 1.0 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 1.4 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 48.5 პროცენტს და 45.2 პროცენტს შეადგენს.

2024 წლის IV კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში 0.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 69.3 პროცენტი შეადგინა.

2024 წლის IV კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, უმუშევრობის დონე საქალაქო ტიპის დასახლებებში შემცირებულია 1.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 0.6 პროცენტული პუნქტით. უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2024 წლის IV კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი 2.4 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული ქალებში, ხოლო კაცებში - 0.1 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 11.1 პროცენტს და 16.7 პროცენტს შეადგენს.

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებთან შედარებით მაღალია კაცებში. 2024 წლის IV კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 45.1 პროცენტს, ხოლო კაცებში 66.3 პროცენტს შეადგენდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებში გაზრდილია 0.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 0.4 პროცენტული პუნქტით.

2024 წლის IV კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დასაქმების დონე გაზრდილია ქალებში 1.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 0.4 პროცენტული პუნქტით“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ბავშვთა განვითარების შესახებ დედოფლისწყაროში ტრენინგი გაიმართა

საბავშვო ბაღის მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის გამართული ტრენინგი წარმატებით ჩატარდა. 2025 წლის 16 თებერვალს ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დარბაზში გაიმართა ტრენინგი თემაზე: „ბავშვთა განვითარების ფსიქოლოგიური დონე და მათი განვითარების ეტაპები 0-დან 7 წლამდე“.

როგორც დედოფლისწყაროს სკოლამდელ სააღმზრდელო ცენტრში აცხადებენ, ამ პროექტის საშუალებით მშობლები და ბაღის მასწავლებლები გაეცნენ ბავშვის განვითარების ეტაპებს, ქცევისა და მეტყველების სპეციფიკას და გარემოს მოწყობას.

ტრენინგს უძღვებოდნენ ფსიქოლოგიის, ქცევითი და მეტყველების თერაპევტთა გამოცდილი პროფესიონალები, რომლებმაც მონაწილეებს გაუზიარეს პრაქტიკული და თეორიული ცოდნა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ემოციური კავშირი, ქცევის მართვა, სენსორული ინტეგრაცია, მეტყველების სირთულეები და სხვ. ცენტრი მადლობას უხდის ფსიქოლოგ ქრისტინე საკანდელიძესა და მის გუნდს აღნიშნული ტრენინგის განხორციელებისთვის. **შირაქი**

მართვის მოწმობის გაცემა უფრო გართულდება?! - რა ცვლილებას განიხილავს პარლამენტი

საქართველოში გარკვეული ნებართვების გაცემამდე, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა შესაბამის ელექტრონულ ბაზაში გადამოწმდება. საუბარია, იარაღის ტარების ნებართვის გაცემასა და მართვის მოწმობის აღებაზე. აღნიშნულს გულისხმობს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული საკანონმდებლო პაკეტი, რომელსაც პარლამენტი განიხილავს.

კერძოდ, ცვლილებათა პაკეტში საუბარია, ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნაზე, სადაც აღრიცხული და თავმოყრილი იქნება მონაცემები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე, ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით ან/და ტოქსიკომანიით დაავადებულ პირთა შესახებ.

მართვის მოწმობის გაცემა უფრო გართულდება?!

როგორც ცნობილია, იარაღის ტარების ნებართვის, მართვის მოწმობის უფლების მისაღებად საჭიროა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცნობა, თუმცა, კანონპროექტის ავტორთა შეფასებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების კუთხით არსებული მექანიზმები, მაგალითად, როგორიც არის ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს პოტენციური რისკების გამორიცხვას.

„შესაძლებელია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში მოცემული ინფორმაცია არაზუსტი ან არასრული იყოს. ასევე, პირს ჯანმრთელობის, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის პრობლემა შეიძლება წარმოეშვას კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის (ნებართვის) მიღების შემდეგ. ასეთი პირი საფრთხეს წარმოადგენს როგორც საკუთარი, ასევე, სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. წარმოდგენილი ცვლილებები კი უზრუნველყოფს, რომ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამო ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირს იარაღზე, სატრანსპორტო საშუალების მართვაზე ხელი არ მიუწვდებოდეს,“ - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე დარახველიძემ ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე კანონპროექტის წარდგენისას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, იმ შემთხვევაში თუ პირს უკვე აღებული აქვს მართვის მოწმობა ან იარაღის ტარების უფლება და ამის შემდეგ მოხვდება ამ ბაზაში, მას ეს ნებართვა შეუჩერდება.

ცვლილების თანახმად, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა სავალდებულო იქნება, აგრეთვე, შეჩერებული, ჩამორთმეული მართვის უფლების აღდგენისას, ან მართვის მოწმობის შეცვლისას ან აღდგენისას.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე კანონპროექტის წარდგენისას განაცხადა, ბაზის ადმინისტრირებას და მართვას განახორციელებს ჯანდაცვის სამინისტრო, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს კონკრეტული მიზნობრიობით ექნება მასზე წვდომა.

„მაგალითისთვის, ეს მიზნები შეიძლება იყოს: იარაღის ტარების ნებართვის გაცემა, სატრანსპორტო საშუალებაზე მართვის მოწმობის გაცემა. ამასთან, როგორც დარახველიძემ აღნიშნა, მნიშვნელოვანია შსს-თვის ცნობილი იყოს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა, როდესაც ოჯახში ხდება ძალადობა, დროებითი მოთავსების იზოლატორში ხდება გადაყვანა ან უწყებაში დასაქმების საკითხია გადასაწყვეტი,“ - აღნიშნა დარახველიძემ.

აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის კომიტეტმა წარდგენილ ინიციატივას მხარი უკვე დაუჭირა.

საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა 56%-ით გაიზარდა

2024 წელს საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა 56%-ით გაიზარდა. შსს-ს სტატისტიკის მიხედვით, თუ 2023 წელს საქართველოში თავშესაფარი უცხო ქვეყნის 1 052-მა მოქალაქემ მოითხოვა, 2024 წელს ამ მაჩვენებელმა 1 641 შეადგინა.

საქართველოში თავშესაფარი რუსეთის 85-მა და ბელარუსის 40-მა მოქალაქემ მოითხოვა. ამავე სტატისტიკის მიხედვით, გასულ წელს ყველაზე მეტი უცხოელი, რომელმაც საქართველოში თავშესაფარი მოითხოვა, თურქეთის მოქალაქე იყო - ჯამში 248 ადამიანი, მას მოჰყვება ირანის 226 და პაკისტანის 220 მოქალაქე.

ამასთან, ათეულში შედიან:

- **უკრაინის - 203 მოქალაქე;**
- **ინდოეთის - 150 მოქალაქე;**
- **რუსეთის - 85 მოქალაქე;**
- **ეგვიპტის - 68 მოქალაქე;**
- **იორდანიის - 45 მოქალაქე;**
- **ბელარუსის - 40 მოქალაქე;**
- **ლიბანის - 39 მოქალაქე;**

გარდა ამისა, საქართველოში თავშესაფარს ითხოვენ - აზერბაიჯანის, ნიგერიის, ბანგლადეშის და სხვა ქვეყნების მოქალაქეები.

რაც შეეხება სტატუსს, შსს-ს სტატისტიკის მიხედვით, 2024 წელს ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა უცხო ქვეყნის 11 მოქალაქეს, ჰუმანიტარული სტატუსი კი 104-ს.

ცნობისთვის, ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პირობებს და აკმაყოფილებს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილს: იძულებული იყო დაეტოვებინა თავისი წარმოშობის ქვეყანა ძალადობის, გარე აგრესიის, ოკუპაციის, შიდა კონფლიქტების, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ან საზოგადოებრივი წესრიგის მნიშვნელოვანი დარღვევის გამო; სამართლებრივი საფუძვლების, კერძოდ, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების გამო არ შეიძლება იძულებით დაბრუნებულ იქნეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში და რომელსაც არ შეუძლია გაემგზავროს სხვა ქვეყანაში; წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში შეიძლება სერიოზული საფრთხე შეექმნას მის სიცოცხლეს ან დაირღვეს მისი უფლებები.

ლტოლვილის სტატუსი კი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, იმყოფება საქართველოში, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო და არ შეუძლია ან არ სურს, ამგვარი შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.

2025 წელს საქართველოს ეკონომიკა 5%-ით გაიზრდება

„2025 წელს, ჩვენი საბაზისო სცენარით, საქართველოს ეკონომიკა 5%-ით გაიზრდება“, - ამის შესახებ „გალთ ენდ თაგარტის“ მიმოხილვაშია აღნიშნული.

„საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2024 წლის დეკემბერში რეალური მშპ 6.7%-ით გაიზარდა, წინა თვის 7.5%-იანი ზრდის შემდეგ. აღნიშნული ზრდა ძირითადად განაპირობა საფინანსო, პროფესიული და სამეცნიერო, ტრანსპორტის, ვაჭრობის და ინფორმაცია და კომუნიკაციის დარგებმა. ამასთან, კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის დარგში.

ჯამურად, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკა წლიურად 9.5%-ით გაიზარდა, 2023 წელს დაფიქსირებული 7.8%-იანი ზრდის შემდეგ. ნომინალური მშპ 13.5%-ით გაიზარდა და 91.8 მლრდ ლარი (33.7 მლრდ აშშ დოლარი) შეადგინა, ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე 9,124 აშშ დოლარს გაუტოლდა“, - აღნიშნულია „გალტ ენდ თაგართის“ კვირის მიმოხილვაში.

სოფლის პროგრამის პრიორიტეტები გამოვლინდა

/პირველი გვერდიდან/

გარდა ამისა, დედოფლისწყარო ერთ-ერთი პირველი მუნიციპალიტეტი იყო, რომელმაც თქვა, რომ სოფლებისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს საკუთარი ბიუჯეტიდანაც დაამატებდა და გაორმაგებულ თანხებს დახარჯავდა. ასეც ვიქცევით. ამ წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან სოფლებს ჯამში 256 000 ლარი გამოეყო, ამას დავამატეთ ამდენივე თანხა და თითქმის 600 000 ლარით ვიწყებთ სოფლის პროგრამების განხორციელებას“.

ვანო ბენაშვილი ***(მერის წარმომადგენელი ოზაანში):*** „სოფლის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე რამდენიმე წელია მოწყობილია სავარჯიშო დარბაზი, რომელსაც ცალკე შესასვლელი აქვს და ახალგაზრდები მას სავარჯიშოდ იყენებენ. ოთახი რეაბილიტაციას საჭიროებს, ამიტომ ერთ-ერთ საკითხად ამ დარბაზის მოწესრიგება დასახელდა. როგორც ვიცი, უნდა დაიგოს ბეტონის იატაკი და შეიცვალოს კარი. მეორე საკითხად შერჩეულია ასევე სპორტული ტრენაჟორების მონტაჟი, თუმცა, ამჯერად უკვე გარე სივრცისთვის, რომელიც გადაიხურება. ორი ადგილია გათვალისწინებული და საბოლოო გადაწყვეტილებას დაპროექტების დროს მივიღებთ. ჩვენ გვინდა საბავშვო ბაღის უკან მდებარე მინი სპორტული მოედნის გვერდით მოვაწყოთ. თუ იქ ჩავეტიეთ და ზომები მოერგო, სავარაუდოდ იქ გადაწყდება და თუ ვერ, მაშინ ალბათ, ისევ სოფლის ადმინისტრაციული შენობის ეზოში მოვაწყობთ. სხვა საკითხები აღარ დასმულა, რადგან 16 000 ლარია გათვალისწინებული და მეტს ვერ გავაწვდენთ, ამას 16 000-ს დაუმატებს ადგილობრივი ბიუჯეტი და ჯამში 32 000 ლარის სამუშაოები შესრულდება. მოსახლეობა ასევე ითხოვს შიდა საუბნო გზების მოწესრიგებასაც. როცა ზოგ ადგილებში კეთდება, მერე მოთხოვნა სხვა უბნებიდანაც მოდის, მაგრამ ეს ალბათ ეტაპობრივად და ნელ-ნელა სხვა პროგრამების დაფინანსებით დაიწყება.

რაც შეეხება სოფელ თავწყაროს შეხვედრას, იქ გადაწყვიტეს წყარო მოეწყოს. სოფელს ერთი ბუნებრივი წყარო აქვს. გასულ წლებში თავწყაროში წყალმომარაგების პრობლემა გადაიჭრა, ბურღი გაკეთდა და უბნები დაიქსელა. თუმცა, მოსახლეობა მაინც სასმელად ამ წყაროს მოიხმარს. ამიტომაც, მოთხოვნიდან გამომდინარე, კრებაზე მისი მოწესრიგების საკითხი დაისვა და მათთვის გათვალისწინებული თანხა ამ საკითხს მოხმარდება. გასულ წლებში წყალგაყვანილობის მილების გამო ყველა უბანი გადაითხარა და გზები რთულ მდგომარეობაში იყო, ამიტომ შარშან ამ უბნების გზების მოსწორების საკითხი გადავჭერით ახლა კი უკვე გამოცხადებულია ტენდერი და გზის ერთი მონაკვეთი გაკეთდება“.

ჯემალ დიმიტრაძე ***(მერის წარმომადგენელი სამთაწყაროში):*** „სრული მხარდაჭერით სოფელში სკვერის მოწყობის საკითხი აირჩიეს. მოგეხსენებათ, გასულ წელსაც სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში ხალხმა მოითხოვა აფხაზეთში დაღუპული ჩვენი გმირის, რუბენ მურვანიძის სახელობის სკვერი მოგვეწყო. შარშან ამ თანხით სკვერი შემოიღობა. წელსაც იგივე საკითხის გაგრძელება გადაწყდა. ამჯერად სკვერში დაირგვება მცენარეები, მოეწყობა სკამები, ბილიკები. ვინაიდან თანხა საკმარისი არ იყო, ასე გადანაწილდა. სოფლის კრებაზე ასევე დაისვა საკითხი მინი სტადიონის აღდგენა-რეაბილიტაციის შესახებ. ეს სტადიონი რამდენიმე წლისაა და განახლებას საჭიროებს. თუმცა, ამ ეტაპზე ამის დაფინანსება ვერ ხერხდება“.

ვალიკო აბაშიძე ***(მერის წარმომადგენელი სოფელ ფიროსმანში):*** „სოფლის შესასვლელში ღვინის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიას ე.წ. მარნის უბანს უწოდებენ. როგორც ადგილობრივებმა გადაწყვიტეს, სოფლის პირველივე უბანში უნდა მოეწყოს ბავშვთა გასართობი სივრცე და ატრაქციონები. სოფლის ცენტრალურ სკვერში, შინდისის გმირის მემორიალთან გვაქვს ორი ატრაქციონი, მაგრამ ის მოშორებით მდებარეობს და ყველა ვერ ახერხებს სარგებლობას. არადა პირველ უბანში გაცილებით მეტი ბავშვი ცხოვრობს, საკმაოდ დიდი უბანია და მოთხოვნა წამოვიდა, რასაც მოსახლეობამ მხარი დაუჭირა. მერიაც დაამატებს თანხას და ჯამში 32 000 ლარი დაიხარჯება. ასევე გამოითქვა გზების მოხრეშვის საკითხიც, თუმცა, ამაზე გვიპასუხეს, რომ სხვა პროგრამის ფარგლებში ეცდებიან მოხრეშვას. აქამდე ფიროსმანში ასფალტიანი გზები არ გვქონდა, რადგან წყლის ქსელები და კომუნიკაციები გასაყვანი იყო, ამიტომ მოასფალტება არ ღირდა. ახლა მიწისქვეშა კომუნიკაციები უკვე გაყვანილია და როგორც მერია დაგვპირდა სხვა დაფინანსებით სოფლის ცენტრალური გზა მოასფალტდება, რომელიც სკოლასა და ბაღს უკავშირდება. ტენდერი უკვე გამოცხადებულია და სამუშაოები მალე დაიწყება“.

გიორგი იაკობიშვილი ***(მერის წარმომადგენელი ზემო მაჩხაანში)***: „წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოსა და რობიტაანთ უბნის სასაფლაოზე მესერი დაზიანებულია. მოსახლეობამ ამ საკითხის მოწესრიგება დაასახელა, რადგან აღნიშნულ ტერიტორიაზე საქონელი შედის და აზიანებს მას. ამიტომ, ადგილობრივების გადაწყვეტილებით, ერთ-ერთ პრიორიტეტად სასაფლაოების შემოღობვა დასახელდა. კიდევ ერთ საკითხად ხმათა უმრავლესობით გადაწყდა ე.წ. 24-ე ქუჩაზე, ყოფილი აბანოს ტერიტორიაზე საბავშვო სკვერის მოწყობა. ზემო მაჩხაანის ძველი აბანოს შენობა ამჟამად დანგრეულია, ადგილი მოსწორებულია და ამ ადგილას გავაშენებთ სკვერს. გასართობი სივრცე შეემატება სოფლის მოსახლეობას. საინტერესო შეხვედრა შედგა, აქტიურობდნენ მაცხოვრებლები, მერიასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ინფორმაციის გაცვლა მოხდა. წელს ჩვენს სოფელზე 20 000 ლარია გათვალისწინებული და მერიის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტის დამატებით ეს თანხა გაორმაგდება. კრებაზე ასევე წამოიჭრა სასაფლაოზე სველი წერტილების მოწყობის საკითხი, თუმცა ამჯერად, სავარაუდოდ, ამისთვის საჭირო თანხა აღარ დაგვრჩება. ითქვა ისიც, რომ მე-11 ქუჩაზე აუცილებელია სანიაღვრე არხების მოწყობა. მართალია, ნიაღვარი მოსახლეობას სახლში არ უვარდება, მაგრამ აქ ახალი ასფალტირებული გზაა და სანიაღვრეების არარსებობა დროთა განმავლობაში გზასაც დააზიანებს და დამატებით პრობლემებს შექმნის. ეს პრობლემა ჩემთვის ისედაც ცნობილი იყო, თუმცა, სანიაღვრეების მოწყობა დიდ თანხებს უკავშირდება და სოფლის პროგრამისთვის გათვალისწინებული მცირე თანხა საამისოდ საკმარისი არ იქნება. ამდენად, სამომავლოდ, სხვა პროექტების ფარგლებში ვეცდებით ამ პრობლემის გადაჭრას. წინააღმდეგ შემთხვევაში გზა დაზიანდება“.

✍ ი ლია მარტყოფლიშვილი

მწერალმა ჯემალ მეხრიშვილმა დედოფლისწყაროს ასზე მეტი წიგნი აჩუქა

ცნობილმა დედოფლისწყაროელმა მწერალმა ჯემალ მეხრიშვილმა მშობლიურ რაიონს მისი ავტორობით ბოლო წლებში გამოცემული წიგნები საჩუქრად გადასცა. რამდენიმე სახელწოდების ასზე მეტი წიგნი ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ და სოფლების ბიბლიოთეკებში განაწილდება.

შემოტანილია შემდეგი დასახელების გამოცემები: „ცოტა რამ ფიროსმანზე“, „ტარაკანების პროსპექტი“, „იძულებითი ასორტიმენტი“, „თავფარავნელი დედაბრის ალქიმია“, „დარდი“, „პენ მარათონი, თუ კამიკაძეთა პიკნიკი“, „აღვირაწყვეტილი მაროდიორობა“, „აბი“ და „რუბიკის კუბიკისებური უზნეობა“.

როგორც მწერლის ძმამ შენგელი მეხრიშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ავტორის სურვილი იყო დედოფლისწყაროს ყველა ბიბლიოთეკისთვის უსასყიდლოდ გაეგზავნა წიგნები.

„მშობლიური რაიონის მიმართ ყურადღებისა და პატივისცემის გამოხატვის მიზნით დიდი სურვილი ჰქონდა წიგნები საჩუქრად გამოეგზავნა. პირადად მე გამომატანა საკმაოდ ბევრი წიგნი და დედოფლისწყაროში ჩამოვიტანე. ჯემალის დიდი სურვილია დაინტერესებული მკითხველისთვის მისი შემოქმედება დედოფლისწყაროს ყველა სოფელში იყოს ხელმისაწვდომი. სხვათაშორის, წინა წლებში წიგნებს მხოლოდ პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას და სოფელ ოზაანის სკოლას უგზავნიდა. ახლა კი გადაწყვიტა მთელი დედოფლისწყაროსთვის გაეკეთებინა ეს საჩუქარი“ - აღნიშნავს შენგელი მეხრიშვილი.

მანანა მაჭარაშვილი ***(დედოფლისწყაროს საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი):*** „ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ადგილობრივი მწერლების თარო ცალკე გვაქვს, სადაც მათი წიგნებია წარმოდგენილი, მათ შორის გვაქვს ჯემალ მეხრიშვილის გამოცემებიც. რაც კი გამოუცია, ყოველთვის გვიგზავნიდა. თუმცა ეს ბოლო შემთხვევა იმითაა გამორჩეული, რომ თითო სახეობის წიგნი სოფლების ფილიალებსაც მივცეთ, ზოგი წიგნი გვქონდა, ახალი გამოცემებით შევავსებთ, დანარჩენებს სოფლებს გავუნაწილებთ. რა თქმა უნდა, ეს დიდი საჩუქარია ჩვენთვის, მადლობელი ვართ მისი. მიყვარს მისი შემოქმედება და ხშირად ვკითხულობ. ჯემალ მეხრიშვილს რატომღაც რევაზ ინანიშვილს ვამსგავსებ, ისიც სოფლის ცხოვრებაზე წერდა. ჯემალი ემოციურად აღწერს სოფლის ავ-კარგს, ისე წერს, მკითხველი სრული სიცხადით წარმოიდგენს ქიზიყელთა ყოფას“.

ქეთევან ტოკლიკიშვილი ***(ოზაანის სკოლის ბიბლიოთეკარი):*** „ყოველთვის გვიგზავნის ბატონი ჯემალი საკუთარ წიგნებს. მისი თითქმის ყველა წიგნი გვაქვს. 25 წელია სკოლის ბიბლიოთეკრად ვმუშაობ და ამ ხნის მანძილზე მის ყურადღებას ყოველთვის ვგრძნობ. მოგეხსენებათ, სკოლებს არ აქვს ბიუჯეტი, რომ კლასგარეშე ლიტერატურა შეიძინოს. ძირითადად პროექტების ფარგლებში თუ შემოიტანეს ახალი წიგნები, ამიტომ მნიშვნელოვანია, როცა გვჩუქნიან. მითუმეტეს სასიამოვნოა, როცა ამ სოფლის წარმატებული შვილი გვიგზავნის საკუთარ შემოქმედებას. გვიხარია, რომ ამხელა სიყვარული აქვს მშობლიური სოფლის მიმართ და არ ვავიწყდებით. ძალიან მადლიერი ვართ მისი. სკოლაში მასთან შეხვედრაც გვინდოდა, თუმცა ავადმყოფობის გამო ჩამოსვლა ვერ მოახერხა. მის გარეშე ვისაუბრეთ მის შემოქმედებაზე. გასულ წელსაც იყო ოზაანში მისი შემოქმედებითი საღამო. საოცრად ნიჭიერი მწერალია და ჯანმრთელობას ვუსურვებთ, რომ კიდევ დიდხანს გვეგულებოდეს“.

ქრისტინე კიკილაშვილი ***(ოზაანის ბიბლიოთეკარი):*** „ჯემალ მეხრიშვილი მართლაც საოცრად წერს, ნიჭიერი შემოქმედია. ზუსტად აღწერს ქიზიყურ სოფლებს, ადგილობრივების ადათ-ნესებსა და ტრადიციებს, სოფლის გლეხობის ყოფა-ცხოვრებას. თითქმის ყველა სოფელზე აქვს მოთხრობა დაწერილი. სასოფლო ბიბლიოთეკაში მისი რამდენიმე წიგნი გვაქვს, რომელიც ადრე საჩუქრად გადმოგვცა. სულ მინდოდა ჯემალ მეხრიშვილის კუთხე მომეწყო, როგორც ადგილობრივი მწერლის, თუმცა აქამდე საკმარისი წიგნები არ გვქონდა“.

✍ ი ლია მარტყოფლიშვილი

როგორ გაწითლდა დედოფლისწყარო

25 თებერვალი საქართველოს გასაბჭოების დღეა. თუმცა, წითელი ჩექმა ამ ქალაქმა თავისი მდებარეობის გამო ერთი კვირით ადრე იგემა. რუსული ჯარი 1921 წლის 17 თებერვალს აზერბაიჯანიდან შემოვიდა, 19 თებერვალს კი დედოფლისწყაროში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. წითელი დროშის აფრიალებასთან დაკავშირებით წითელწყარო უწოდეს. მანამდე მას მეფის წყაროს ეძახდნენ. „ქვემო ქედიდან, მილარზე გავლით რუსები ჯერ სვეჩნოვკაში (სოფ. სამრეკლო, ჯაფარიძე) შემოვიდნენ. მენშევიკი მჩაგვრელების წინააღმდეგ შეკრებილი ხალხი იარაღით იდგა – მალე წითელი დროშა აფრიალდა.

კურიშკოს საქართველოში შესვლა 15 იანვარს დაევალა. რუსულ არქივებში წერია, რომ 17 თებერვალს აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვარი მდინარე ალაზანით უნდა გადაეკვეთათ და „მეფის წყაროს“ (ქ. წითელი წყარო) აღება თამამი შეტევით მოეხდინა. 17 თებერვალს დილის 4 საათზე ამიერკავკასიის სექტორის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ. მტერმა ალაზნის ზემო წელში კაშხალი ჩამოწია. ღამით თოვდა, მდინარეში წყლის დონემ 180 სმ-მდე აიწია, რამაც შეუძლებელი გახადა კოლონებისა და არტილერიის გადაყვანა. მეთაურმა კურიშკომ გადაწყვიტა მხოლოდ საკავალერიო ნაწილები გადაესხა. საკავალერიო დანაყოფებისა და ტყვიამფრქვევების გადაკვეთა 12 საათისთვის დასრულდა. საღამოს 4 საათზე მიაღწია სოფელ მეფის წყაროს. ადგილობრივებმა პოზიციები გაამაგრეს სოფლის შესასვლელში, ასევე ყაზარმებში და მეფის წყაროს აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეებზე. ამიტომ ჯიუტი წინააღმდეგობა გაუწიეს.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულმა ჩანაწერებმა შემოინახა ისიც, რომ ვიდრე რუსული ჯარი აზერბაიჯანიდან შემოვიდოდა, ადგილობრივებს მათთან საიდუმლო კავშირი ჰქონიათ. დღეს ასეთი ქმედება შესაძლოა მოღალატეობრივადაც შეფასდეს, თუმცა იმხანად, რადგან მეფის წყაროში მენშევიკების ყაზარმები იყო განთავსებული, ამის გამო ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი კურიშკოს ჯარს იმედით შეხვდა. ამას მოწმობს სოფელ სამრეკლოს ცენტრში დახვედრაც. საარქივო ჩანაწერებში ნათქვამია, რომ კურიშკოს ცხენოსანთა პოლკთან საიდუმლო კავშირი ჰქონდა იმ დროს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ არალეგალურად მებრძოლ ბოლშევიკურ სიღნაღის მაზრის ორგანიზაციას (ხელმძღანელი ვარამაშვილი). მათი ორგანიზაცია წითელწყაროშიც იყო, სწორედ მათი თანხლებით შემოვიდა 17 თებერვალს ღამის 9-10 საათზე კურიშკო მეფის წყაროში. კურიშკო გაემართა ქალაქის ცენტრში, მეფის წყაროში, სადაც ქართველი მენშევიკების მცირე ჯგუფები ყაზარმებში იყვნენ გამაგრებულნი. იქიდან ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა კურიშკო. საპასუხოდ მწყობრში ჩადგა 150 ჯარისკაცი ადგილობრივი მოსახლეობიდან და შური იძია მტერზე.

„104-ე საკავალერიო პოლკმა, რომელიც წინ მიიწევდა ფორსირებული მარშით, მოწინააღმდეგის ფორპოსტი გაარღვია, ტყვედ აიყვანა 7 ქართველი ჯარისკაცი და საღამოს 4 საათზე მიაღწია სოფელ „ცარსკიე კოლოდეც“-ს. ის გარშემორტყმული იყო რკალისებურად, მაგრამ მტერმა, რომელმაც პოზიციები დაიკავა ყაზარმებში, სოფლის შესასვლელთან და „ცარსკიე კოლოდეც“-ის აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეებზე, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. 18:00 საათზე 103-ე საკავალერიო პოლკის მოახლოებასთან ერთად, ქვედანაყოფები შეტევაზე გადავიდნენ. გამაგრებულ ყაზარმებზე გაშლილ შეტევას 104-ე პოლკი ჩაუდგა სათავეში, რომლის მიზანი იყო იქ შემორჩენილი მტრის განდევნა. როდესაც ჯაჭვი ყაზარმებს მიუახლოვდა, მოწინააღმდეგემ ავტომატისა და შაშხანის ცეცხლის ქარიშხალი გახსნა. დანებების შეთავაზება უარყოფილი იქნა. დამცველებს იცავდა ყოფილი ტვერის დრაგუნის პოლკის ყაზარმის სქელი კედლები. ადგილობრივი მოსახლეობისგან მიღებული ინფორმაციით, ყაზარმებში საქართველოს მენშევიკური ჯარების ბატალიონი თეთრების ოფიცერთა მეთაურობით იყო განლაგებული“ - წერია რუსულ არქივებში.



გასაბჭოების შესახებ საინტერესო ჩანაწერებია დაცული დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. საარქივო ჩანაწერებს „შირაქმა“ თვალი კიდევ ერთხელ გადაავლო. კურიშკოს მოკვლის ზუსტი თარიღი აქ არ იძებნება, თუმცა, რუსულ არქივებში მინიშნებულია, რომ ის 18 თებერვალს დაიღუპა და 19 თებერვალს წითელი დროშის აფრიალებას ვეღარ მოესწრო. მისი ხსოვნისთვის ძეგლი 1 მაისს გაუხსნიათ. პირველი ძეგლი კულტურის სახლის ტერიტორიაზე იდგა, შემდეგ ის დააზიანეს და აღდგენილი ძეგლი უკვე ტაძრის ადგილას გადმოიტანეს.

ჩვენს ქალაქში სტალინის (ამჟამად ჰერეთის) ქუჩა №124-ში წითელი არმია დასასვენებლად შევიდა „ივან ივანიჩის“ (სომეხი კარაპეტოვიჩი) ეზოში. მას ჰქონდა ძალიან დიდი ეზო. მათთან ერთად იყო კურიშკოც (1894-1921 წწ). კურიშკოს ჯარისკაცმა შეატყობინა ყაზარმებიდან ისვრიანო. სასწრაფოდ გაეშურა ამჟამად კულტურის სახლის ტერიტორიაზე, შემაღლებულ ადგილზე, რომელსაც მაშინ **„ტრუბაჩევსკაია გორკა“** ეწოდებოდა. ცხენზე ამხედრებული ბრძანებებს იძლეოდა. ამ დროს ესროლეს და 18 ჭრილობა ჰქონდა. ის მაშინვე გარდაიცვალა. ჩანაწერების მიხედვით არსებობს ერთ-ერთი ვერსიაც, სადაც მენშევიკებთან შეტაკების დროს კურიშკო სასიკვდილოდ დაიჭრა.

1921 წლის საპირველმაისოდ კურიშკოს პატივსაცემად ძეგლი აიგო მისი მკვლელობის ადგილზე. 1978 წელს კი ძეგლი აღდგა და სხვა ადგილას, ქალაქის პირველ სკოლასთან მდებარე პარკში უფრო დიდი ზომის დადგეს. საარქივო ჩანაწერებში ნათქვამია, რომ არქიტექტორი იყო წითელწყაროს **არქიტექტორი ვახტანგ ბაცაცაშვილი**, ხოლო **მოქანდაკეები: ოთარ მელიქიშვილი, ვახტანგ ფეტვიაშვილი** და **ავთანდილ კიკნაველიძე**. 1 მაისს საზეიმო მიტინგი გაიმართა. ითქვა, რომ ამ მიდამოებში არსებულ სოფლებს: ჩიჩინოვკას, ნიკოლაევკასა და მეფის წყაროს შეეცვალოს სახელები. მაშინ **ჩიჩინოვკას – ჯაფარიძე ეწოდა, ნიკოლაევკას – ლენინოვკა, მეფის წყაროს კი – წითელწყარო**. ოფიციალურ საისტორიო წყაროებში და კომუნისტური რეჟიმის დროს გამოცემულ ქართულ გაზეთებში კურიშკოს სიკვდილი გმირულად იყო გადმოცემული. თუმცა, არსად იყო საუბარი იმაზე, რომ მეთაური მოკლეს. დედოფლისწყაროში კი დღემდე ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ის ადგილობრივმა გლეხმა მოკლა და ხალხმა მისი ვინაობა დაიცვა და ბოლომდე საიდუმლოდ შეინახა.

პეტრე ვასილის ძე კურიშკო - დონელი ღარიბი გლეხი, რომელმაც გამოსცადა მოჯამაგირის სიმძიმე, ძველი არმიის ჯარისკაცი ნებაყოფლობით ჩადგა წითელი ცხენოსანი ჯარის რიგებში. როცა საქართველოს აჯანყებულმა მუშებმა კომუნისტების ხელმძღვანელობით შექმნეს რევკომი, ლენინმა მათ დასახმარებლად გამოგზავნა მე-11-ე არმია. მის რიგებში კახეთის მხრიდან თბილისისკენ მოდიოდა კურიშკოს დივიზია. მოსახლეობა აღტაცებით ეგებებოდა წითელ არმიას.

სიღნაღის მაზრის სოფელ წითელწყაროში იყო მენშევიკ თეთრგვარდიელ ოფიცერთა დიდი გარნიზონი. საბჭოთა ცხენოსნებმა სოფლის ტერიტორია გაწმინდეს მათგან, მაგრამ კონტრრევოლუციონერთა ჯგუფი ყაზარმაში ჩაიკეტა და სროლას განაგრძობდა. კურიშკომ ეს რომ გაიგო, სროლას არ მოერიდა, ყაზარმასთან მიიჭრა და მოწინააღმდეგეს უთხრა-დანებებულიყო. ამ მომენტში იგი სასიკვდილოდ დაჭრეს. ეს იყო მისი მე-18 ჭრილობა. ბრძოლაში გამოწრთობილი მეომრები, როცა თავისი 27 წლის უფროსის დაღუპვის ამბავი გაიგეს, ბავშვებივით ქვითინებდნენ. კურიშკოს ნეშტი დასაკრძალად გაასვენეს მის მშობლიურ სოფელში, დონის ოლქში. წითელწყაროელმა გლეხებმა 100-ზე მეტი მებრძოლის რაზმი შეადგინეს, რომელიც მე-18 ცხენოსანი დივიზიის რიგებს შეემატა.

ვასილ სვიმონიშვილი *(ისტორიკოსი):* „მე იმდენად სანდო წყაროდან ვიცი, თითქმის თვითმხილველის ნაამბობის ტოლფასია, დღევანდელი ბაზრის შენობის ტერიტორიიდან ესროლეს კურიშკოს. ის კი დაახლოებით კულტურის სახლის შენობის ბორცვზე ჩამოდიოდა. მაშინ ეს ტერიტორია სახელოსნოებითა და სავაჭრო ფარდულებით იყო გაშენებული. ბაზრის ადგილზეც ძველი ბაზარი მოქმედებდა. რუსული ჯარი რომ შემოვიდა, ადგილობრივი ხალხი ორად გაიყო, მდიდრებს მენშევიკები უნდოდათ, ღარიბებს ბოლშევიკები. დიდი აგიტაცია მიდიოდა და ეს მუშაობდა. ამიტომაც ბევრი სიხარულით დახვდა. თუმცა, მოსახლეობა ერთიანი რომც ყოფილიყო, ძლიერი ჯარი შემოვიდა, რამდენიმე წერტილიდან შემოუტიეს საქართველოს და ოკუპაციის შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა. მართალია ამ რაიონში რუსული სოფლები ბევრი იყო და გარნიზონის გამო სამხედროებიც მრავლად იყვნენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქართველებიც მრავლად სახლობდნენ. ამას გარდა, მეზობელი სოფლებიდან ქართველები რუსული ჯარის იმედით გასაბჭოებამდე ბევრი დასახლდა ამ ქალაქში. რადგან ჯარი იყო, ლეკიანობის აღარ ეშინოდათ. ამ ქალაქის დაარსების სავარაუდო თარიღიც 1803 წელია, როცა ტრაქტატის შემდეგ რუსის ჯარი შემოვიდა. ახლა რესტორანი შუა ქალაქი რომ არის, სავარაუდოდ იმ ტერიტორიაზე იყო მათი პოლკი, შემდეგ უკვე დაახლოებით 1912 წელს აშენდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობა და იქ იყო ნიჟეგოროდის და ტვერის დრაგუნთა პოლკის შტაბი. შემდეგ, როცა მუზეუმად გადაკეთდა, იქ აღმოჩნდა ხელნაწერები, სადაც ინფორმაცია იყო შემონახული წლების და მშენებლების გვარების მითითებით. ხოლო სახანძრო სამსახურის ზემოთ მდებარე სამხედრო ნაწილი კი სავარაუდოდ 1930-იანი წლებიდან უნდა გაჩენილიყო. ოკუპაციის დროს ამ ადგილზე სამხედროები არ იყვნენ“.

✍ *ი ლ ი ა მ ა რ ტ ყ ო ფ ლ ი შ ვ ი ლ ი*

გასაბჭოებიდან რამდენიმე დღეში შეიქმნა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დროებითი მთავარი კომიტეტი, რომელმაც ქართული გაზეთის გამოცემა და რუსული იდეოლოგიის გატარება დაიწყო. 1921 წლის 27 თებერვალს გამოვიდა გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტი“-ს პირველი ნომერი. 2 მარტიდან დაიწყო გაზეთ „კომუნისტის“ გამოცემაც, თუმცა 1920 წელს კომუნისტის 10 ნომერი დაიბეჭდა. ყოველდღიური გაზეთი საქართველოს კომუნისტური პარტიისა და რევოლუციური კომიტეტის ორგანო იყო. 1921 წლის სექტემბრიდან დაფუძნდა გაზეთი „წითელარმიელი“. გთავაზობთ ამონარიდებს, სხვადასხვა გაზეთებიდან – რას წერდა იმ დღეებში ქართული პრესა:

► **24 თებერვალს** — ღამის 11 საათზე მენშევიკური მთავრობა გარბის და დედა ქალაქს სტოვებენ უპატრონოდ. მცხოვრებთა წესრიგის დამცველი აღარავინ სჩანდა. სადგურზევე ლევან მეტრეველმა და პაოლო იაშვილმა გადასწყვიტეს, ვიდრე წითელი არმია მოვიდოდეს, შეადგინონ წესრიგის კომიტეტი. ძლივს მოსძებნეს ერთი დამალული ბოლშევიკი გალაქტიონ ვაშაძე და ამ სამმა პირმა დაიდო თავზე ქალაქზე მზრუნველობა, რომ მცხოვრებნი არ დაწიოკებულიყვნენ და საზოგადო დაწესებულებანი არ გავერანებულიყვნენ. მრავალი დაბრკოლება შეხვდა კომიტეტს. ტელეფონი მოშლილი იყო, ავტომობილები გაფუჭებული, მილიცია აღარ არსებობდა. დიდი წვალებით შედგა კადრები მილიციისა, ჯგუფ-ჯგუფად გაიგზავნა რაიონებში წესის დასაცავად. სასწრაფოდ მოეწყო დაცვა სამინისტროებისა, ხაზინისა, ბანკებისა, საავადმყოფოსი და სხვა. ქალაქში წესრიგი იყო, მხოლოთ ორ-სამ ადგილას მოხდა დუქნების გატეხა. ჩვენს მენშევიკებს თუ სახელმწიფო საქმეებში აკლდათ წინდახედულება, საკუთარ უზრუნველყოფაში არაფერი დაუკლიათ. მთელი სამინისტროები და ხაზინა უბედურათ დაუცარიელებიათ, გროშიც არ დაუტოვიათ.

► **25 თებერვალი 1921 წ** — დროებითი რევოლუციონური კომიტეტი საყოველთაო საყურადღებოდ აცხადებს, რომ ყველა დაწესებულების მუშა-მოსამსახურენი ვალდებული არიან დარჩნენ თავიანთ ადგილებზე და შეასრულონ პირნათლათ მოვალეობანი. დაიცვან სრული წესრიგი, არ დაუშვან არავითარი არევ-დარევა. ევალებათ დაიცვან რევოლუციონური წესრიგი და განაგრძონ ჩვეულებრივი საქმიანობა.

► **26 თებერვალი** — რადგანაც ჩვენში მოხდა პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლა და ამჟამად აწეწილია მდგომარეობა, ეკონომიკურ გაჭირვებაში აგდებს მუშებს. ყველა სტამბების მუშებმა ჩვეულებრივად განაგრძონ მუშაობა. იზრუნონ პურის მიწოდებაზე და სხვა. გამგეობა მოუწოდებს ამხანაგებს,დამშვიდებულნი იყვნენ და ნურავითარ აღელვებას ნუ ექნება ადგილი.

► **25 თებერვლის ბრძანება** — ქ. თფილისი და მისი მიდამოები გამოცხადებულია სამხედრო წესებზე. ქუჩებში სიარულის ნება დართულია ღამის 10 საათამდის. შემდეგ კი საგანგებო ნებართვით, რომელსაც გასცემს კომენდანტი. **შ. ელიავა** — საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სამხედრო საქმეების კომისარი.

► **26 თებერვლის ბრძანება** — წინადადება ეძლევა ყველა მოქალაქეს, ვისაც იარაღი აქვს, დაუყოვნებლივ მივიდეს კომენდანტთან სარეგისტრაციოთ. ვადა 3 დღეა. ვისაც აღმოუჩნდება დაურეგისტრირებელი იარაღი, ჩაითვლებიან კონტრ-რევოლუციონერებათ და მიეცემიან ტრიბუნალს. ასევე, ყოფილი მთავრობის და კერძო სამგზავრო-საბარგო ავტომობილებისა და მოტოციკლების პატრონები ვალდებული არიან, ყველა ავტომობილი მოვიდეს არტილერიის მოედანზე, რათა ანგარიშზე აიღონ და გაანაწილონ. ურომლისოდ ქალაქში ავტომობილების სიარული აკრძალულია. ანგარიშზე აუღებელი მანქანების აღმოჩენის დროს პატრონი დაკავებულ იქნეს და მიეცეს სასტიკ პასუხისგებაში დახვრეტით დასჯამდე.** გარნიზონის უფროსი — ველიკანოვი; თბილისის კომენდანტი — აბაშიძე.

► **27 თებერვალი** — ქართველი ერის პოლიტიკური ცხოვრება ახალ ნიადაგზე შედგა. მშრომელი ხალხის წინ იშლება ფართო ასპარეზი სახელმწიფოებრივ მუშაობაში უშუალო მონაწილეობისა. პროლეტარული რევოლუციის ტალღებმა საქართველოს საზღვრებსაც მოაღწია. ქართველი მშრომელი მასა მთელი შეგნებით უნდა დახვდეს ამ ისტორიულ ფაქტს და ჯეროვნად შეაფასოს იგი. ქართველი ყოველთვის მტკიცე ნების მატარებელი იყო. ასეთი უნდა დარჩეს დღესაც. ეროვნულ კულტურის განვითარებასთან ერთად ჩაებას ფართო რევოლუციონურ მუშაობაში სოციალისტურ წყობილების განსახორციელებლად.

► ნურც ერთი მშრომელი ნუ იფიქრებს, რომ ქართული საქმე და და კულტურა წუთით შეჩერდეს. პირიქით, ფართო მასების წინ იშლება უაღრესად ხელსაყრელი პირობები. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დროებითი კომიტეტი მოუწოდებს ყველა ქართველს, არ დასტოვოს თავისი სადარაჯო ამ ისტორიულ დროს და გაათკეცებული ენერგიით განაგრძოს მუშაობა. არც ერთი დეზერტირი სამშობლოს სადარაჯოზე. არცერთი მოღალატე საერთო საქმეში. ტფილისი იყო და არის საქართველოს დედაქალაქი. იგი ამ სახით შედის დღეს მშრომელთა საერთო ოჯახში.

► ფედერალიზმის დროშა რუსეთის პროლეტარიატის მიერ აფრიალებული არ ეწინააღმდეგება, პირიქით მოითხოვს ეროვნულ თავისუფლებას და ქართველმა კარგად უნდა გაიგოს, რომ ეროვნული თვითგამორკვევის საქმე სწორედ პროლეტარულ რევოლუციის მეოხებით სდგება მტკიცე საფუძველზე. **დროებითი კომიტეტი მოუწოდებს არ დასტოვოთ თანამდებობანი, ყველანი უნდა გამოცხადდნენ სამუშაოზე, ერთი წუთით არ შეაფერხონ სახელმწიფოს მუშაობა. გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლუციის გაფართოებას! გაუმარჯოს სოციალიზმს! გაუმარჯოს საქართველოს!**

/დასასრული გვ 5/

პუშკინები დედოფლისწყაროში

1829 წელს დედოფლის წყაროში დაბანაკებული დონის ცხენოსანი არტილერიის მესამე ბატარეის ესაულ პ. ხანჟონკოვის ნაამბობით, რომელიც 1858 წელს ვ. პაშკოვს ჩაუწერია და გაზეთ „ბერეგში“ დაბეჭდილა. 30 წლის გენიოსი პოეტი ალექსანდრე პუშკინი 1829 წელს სწორედ დაბადების დღეზე ჩამოვიდა საქართველოში.

ა. პუშკინს ჯერ კიდევ 1819 წელს სდომებია საქართველოში ჩამოსვლა. მისი ინტერესი ამ ქვეყნისადმი განსაკუთრებით გაძლიერდა 1825 წლის დეკემბრის აჯანყების შემდეგ, როცა ნიკოლოზ პირველმა პოეტის მეგობარი დეკაბრისტები მასობრივად გადმოასახლა კავკასიაში, მეგობრებისაგან კანტიკუნტად მიღებული წერილები ეხმარებოდა ა. პუშკინს საქართველოს უკეთ გაცნობაში. მაგრამ პოეტი III-ე განყოფილების ფარული მეთვალყურეობის მსხვერპლი იყო და უნებართვოდ ვერსად მიდიოდა.

1827 წლის 13 მაისს მოსკოვში მყოფი ა. პუშკინი ყარაღაჯში, ნიჟეგოროდის დრაგუნთა 44-ე პოლკში თავის ძმას ლევ სერგის ძეს სწერდა: „ხვალ პეტერბურგს მივდივარ მშობლების სანახავად. პეტერბურგიდან უცხო მხარისკენ გავემგზავრები, ე.ი. ევროპაში. უფრო ვფიქრობ საქართველოში. არა შენი ლამაზი თვალების, არამედ რაევსკისათვის.“ ძმის უკანასკნელი ნერილის მიღების მომენტში ლ. პუშკინი ბოროდინოს ბრძოლის გმირის მესამე ვაჟის, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაურის ნ. რაევსკის ადიუტანტი იყო.

უძველესი გაზეთები წერენ, რომ დეკაბრისტები მძიმე პირობებში იყვნენ, მაგრამ მართლაც სამაგალითო თავდადებას იჩენდნენ ბრძოლაში. არც იდეებს ღალატობდნენ და ხალხში ტრიალებდნენ, რისთვისაც ადგილობრივ მოსახლეობაში პატივისცემა დაიმსახურეს. საყურადღებო დოკუმენტია სიღნაღის მუზეუმში ექსპონირებული გ. გაგარინის ალბომიდან და ფრანგი მოგზაურის ბარონ დე-ბაის წიგნიდან ამოღებული სურათები. მათზე აღბეჭდილია ყარაღაჯი, სადაც დრაგუნთა პოლკის ოფიცრები და ჯარისკაცები ადგილობრივ გლეხებს რთველსა და თივის აღებაში ეხმარებიან.

1827 წელს არ მოხერხდა სასურველი სტუმრობა. 1828 წელს ა, პუშკინმა და პ. ვიაზევსკიმ ერთობლივად სთხოვეს მეფეს კავკასიის არმიაში გამწესების ნებართვა, მაგრამ ამჯერადაც ნიკოლოს პირველმა აცნობა მათ, რომ „ყველა ადგილი შევსებულიაო", ა. პუშკინს მაინც არ აუღია ხელი განზრახვაზე. 1828 წლის გაზაფხულზე ნიკოლოზ პირველი ვარშავაში გაემგზავრა პოლონეთის მეფედ საკურთხებლად. პეტერბურგის პოლიცია და ბენკენდორფი თავისი ამალით მეფეს ახლდნენ და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფით იყვნენ გართულნი, ა. პუშკინს ჯოჯოხეთური რეჟიმისგან სული ეხუთებოდა, ისარგებლა ამ შემთხვევით და უნებართვოდ წამოვიდა მოსკოვიდან. როგორც კი ეს ამბავი ცნობილი გახდა, პოეტს გაძლიერებული მეთვალყურეობა დაუწესეს და ჯაშუშები დაადევნეს.

1829 წლის 27 მაისს ა. პუშკინი თბილისში ჩამოვიდა. თბილისის საზოგადოება მას გულთბილად შეხვდა. პოეტის ჩამოსვლამ დიდი გამოხმაურება და სიხარული გამოიწვია კავკასიაში მყოფ მის მეგობრებსა და დეკაბრისტებში თითოეული მათგანი ცდილობდა შეხვედროდა მას. ა. პუშკინმა თბილისში გაიგო, რომ მისი ძმა და ნ. რაევსკი უკვე თურქეთის ფრონტზე იყვნენ და პასკევიჩს იქ წასვლის ნებართვის თხოვნა გაუგზავნა. პასუხის მიიღებამდე ეცნობოდა თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ლიტერატურულ ცხოვრებას და ქართული სტუმართმოყვარეობით სტკბებოდა. ყარაღაჯში, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის შტაბ-ბინაში, სადაც დატოვებული იყო სათადარიგო ესკადრონი, რომელიც ახალ შევსებას ამზადებდა და საგუშაგოებს იცავდა, გაიგეს ა. პუშკინის ჩამოსვლა და მის წასაყვანად თბილისში ჩამოვიდნენ ახალგაზრდა ოფიცრები — პოეტის ნათესავი პაპკოვი და მისი მეგობარი ნ. კარაიანი.

ა. პუშკინის, პაპკოვისა და კარაიანის კახეთში მგზავრობის საშუალებად უნდა ვივარაუდოთ ცხენები, ან სამხედრო ეტლი. მარშრუტი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ კახეთის ერთადერთი ძველი თბილის-სიღნაღის გზატკეცილი ჭოტორ-მაღაროს უღელტეხილზე გადასვლით. თუ რატომ უნდა გაევლოთ სიღნაღზე, ამას თავისი ახსნა აქვს: სხვა საფოსტო გზა არ იყო, სადაც გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ შეეძლოთ ცხენების გამოცვლა. მეორეც, გომბორის გზის გახსნამდე და მას შემდეგაც წლის უმეტეს დროს თბილისიდან თელავში მიმავალ დილიჟენსებსაც სიღნაღზე გავლით უვლია. **სიღნაღიდან ყარაღაჯისა და დედოფლის წყაროსაკენ მიმავალი საფოსტო გზა კი იყო თბილის-სიღნაღის გზატკეცილის მეორე განშტოება — წმინდა ნინოს მონასტერზე გავლით. ქედელბოდბისხევის „კრუგები“, რომელსაც „სამხედრო გზა ეწოდებოდა, გზის ეს მონაკვეთი სამხედრო ნაწილებს გაუყვანიათ მას შემდეგ, რაც ყარღაჯსა და დედოფლის წყაროში რუსის ჯარის ნაწილები დაბანაკებულა. ამ გზით მიმავალი მგზავრი თუ ტრანსპორტი ბოდბისხევიდან ფანიანზე გავლით ქვემო მაჩხაანის ფოსტასთან ჩერდებოდა.**

ამ მომენტს ასახავს სიღნაღის მუზეუმში ექსპონირებული გაგარინის ერთ-ერთი სურათი: ქვემო მაჩხაანის ფოსტის შენობის წინ გრძელ სკამზე სხედან ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცრები, მათ უკან მოჩანან გლეხები, მოშორებით ჯარისკაცები ცხენებით. ყარაღაჯში მიმავალი ა. პუშკინი და მისი თანამგზავრები, რომელთაც გზაც კარგად იცოდნენ და სიღნაღის ყაზარმაში გარნიზონი და მეგობრები ეგულებოდათ, დასასვენებლად და ღამის გასათევად გაჩერდნენ. ადვილი წარმოსადგენია როგორ ემოციებს აღუძრავდა მგზნებარე პოეტს ქიზიყის მდებარეობა და ზღაპრული ბუნება. განსაკუთრებით მეორე დღეს დილით, წასვლის წინ, როცა დათოვლილი კავკასიონიდან უზარმაზარი ცეცხლოვანი ბურთი ამოგორდებოდა და მზის ამოსვლის მომაჯადოებელი წამი ქვეყანას ამცნობდა ახალი დღის დაბადებას.

გრიგოლ იარალოვი *(ჟურნალისტი):* „1975 წელს სიღნაღიდან მეც ნაცნობი „სამზედრო გზით“ წავედი წითელწყაროსაკენ, სრული გაგებითა და დაინტერესებით შეხვდნენ ჩემს კეთილშობილურ მისიას, რაიკომში მოიწვიეს „იოსებ მასწავლებელი“ – პენსიონერი ი. მენთეშაშვილი, რომელიც ჩემი სკოლის მეგობარი აღმოჩნდა და გავიხსენეთ ერთად გატარებული დღეები, თანაკლასელები. შემოგვიერთეს რაიონულ გაზეთ „ახალი შირაქის“ რედაქტორის მოადგილე ჯემალ მეხრიშვილიც. ბედზე წითელწყაროში აღმოჩნდა პეტრე ლესნოვიც. იგი ყოფილა ოდესღაც გადამდგარ სამხედრო მოსამსახურეთა (ოტსტავნიკების) ერთ-ერთი შთამომავალი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, რომელიც მოსკოვში საინფორმაციო ორგანოებში მუშაობს, მაგრამ კავშირს არ წყვეტს მშობლიურ მხარესთან, სადაც მოხუცი დედა ჰყავს.

ყარაღაჯი და მისი მიდამოები ბევრ სიკეთესთან ერთად „განთქმული“ ყოფილა კოლოებითა და ციებ-ცხელებით. მათი შიშით ჯარის ცალკეული ნაწილები მაღლობებისაკენ წამოსულან და დედოფლის წყაროს ვაკეზე დაბანაკებულან. ახალ დასახლებას ქართველები „ნაცრიანს“ უწოდებდნენ, რუსებს კი „მაზოვკა“ დაურქმევიათ. ეს სიტყვა მსხვილი შავი რუსული ასოებით ახლაც აწერია „დედოფლის წყაროს" კედელს. ეს ადგილი ახლა წითელწყაროს გარეუბანია. ძველი ნაყაზარმალის ადგილზე ავტობაზაა. მისი კანტორა მოთავსებულია სასწაულით გადარჩენილ რომელიღაც ნაწილის შტაბის პატარა შენობაში. ამ ცოტა ხნის წინათ, გარაჟის პირდაპირ, ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე აღმოუჩენიათ გ. ნეჩვოლოდოვის სანახევროდ დანგრეული სახლი, სადაც მუზეუმი მოეწყო. ნეჩვოლოდოვის სახლი ყარაღაჯსა და დედოფლისწყაროში მყოფ დეკაბრისტების თავშეყრის ადგილად გადაქცეულა. სწორედ ამ სახლში ორ წელიწადს ცხოვრობდა ლ. პუშკინი. აქ ხშირად უნახავთ ნ. რაევსკი, ა. ჭავჭავაძე, პ. ბესტუჟევი, ა. რინკევიჩი და სხვები. /გაზეთი „კომუნისტი “1975/

ა პუშკინის ყარაღაჯში ყოფნის დროს გ. ნეჩვოლოდოვი, როგორც დრაგუნთა პოლკის სარეზერვო ესკადრონის მეთაური წოდებითა და წლოვანებით უფროსი გარნიზონს ხელმძღვანელობდა. შეუძლებელია პოეტს არ ენახა ასეთი დამსახურებული პიროვნება ნაწილში მისვლისას, არ გამოსცხადებოდა მას და ღამე არ გაეთია ძმის ოთახში. იმავე სიცხისა და კოლოებისაგან დასაცავად დრაგუნთა პოლკს ხორნაბუჯის პლატოზე საზაფხულო ბანაკი ჰქონია. გაგარინს ეს ადგილიც დაუხატავს და ძვირფასი საბუთი დაუტოვება.

დუელი

ა. პუშკინის ჩასვლა ყარაღაჯში დიდი მოვლენა იყო. ამბავი გავრცელდა გარნიზონში და ყველა ფეხზე დადგა. ოფიცრებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყეს საყვარელ პოეტს. პუშკინმა მოილხინა, მეგობართა წრეში ბევრი იოხუნჯა, ლექსებიც წაიკითხა. მოჯადოებული მსმენელები მქუხარე ტაშით აჯილდოვებდნენ და სულ ახალ-ახალ ლექსებს ათქმევინებდნენ. პირველად აქ გაისმა პოეტის მოგზაურობის შთაბეჭდილებათა შედეგად ჩაფიქრებული ლექსების — „კავკასია“, „მონასტერი მთაზე", „საქართველოს მთებზე", „ზვავი“ და სხვა ფრაგმენტები. მომდევნო დღეებში დროსტარება გრძელდებოდა. დედოფლის წყაროდან სულ ახალ-ახალი მეგობრები ჩამოდიოდნენ. ერთი მათგანი იყო ზემოხსენებული დონის ცხენოსანი არტილერიის მესამე ბატარეის ესაული პ. ხანჟონკოვი. იგი იგონებს, რომ პუშკინი საზოგადოების სული და გული იყო. მის ყოველ სიტყვას ყურადღებით ისმენდნენ. ჩამოაგდებდა ლაპარაკს რაიმე თემაზე და გაჩაღდებოდა ახალგაზრდობის გაცხოველებული საუბარი. პოეტი ისე გატაცებითა და მჭევრმეტყველურად ლაპარაკობდა, რომ დანარჩენები უმალ გაჩუმდებოდნენ და უსმენდნენ. ხან ექსპრომტს იტყოდა ლექსად, ხან იქვე ჩაიმუხლებდა და რაღაცას წერდა. პაპკოვის ბინაზე ქეიფი ორ დღეღამეს გრძელდებოდა, რაც მოულოდნელმა უსიამოვნო შემთხვევამ შეწყვიტა. განებივრებული პაპკოვი ახირებას არ იშლიდა და დაუზოგავად ქირდავდა კარაიანს. ბოლოს მან აგდებულად მოიხსენია ერთი პოლკოვნიკის მეუღლე და სიტყვა კარაიანს გადაჰკრა. ეს უკანასკნელი აენთო, ნერვებმა უმტყუნა და შეურაცხმყოფელი პირი დუელში გამოიწვია. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, ვერავინ შეძლო მათი დამშვიდება. ორივე გაცეცხლებული იყო და სთხოვდნენ პოეტს, მათი სეკუნდანტი ყოფილიყო. პუშკინი კი ემუდარებოდა, დაევიწყებინათ უსიამოვნება და შერიგებულიყვნენ, მაგრამ ამაოდ.

როცა პუშკინი დარწმუნდა, რომ მისმა სიტყვამ არ გასჭრა, გულნატკენმა და დაფიქრებულმა ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო.

—კარგი ბატონებო, თანახმა ვარ, წილის ყრით, ერთ-ერთის სეკუნდანტობა ვიკისრო. რაც. შეეხება მეორე სეკუნდანტს, მირზაჯან მადათოვს ვირჩევ. პუშკინი აღელვებული იყო, მაგრამ ცდილობდა არ შემჩნეოდა. ის ღამე ყველამ უძილოდ გაატარა. პუშკინი და მადათოვი რამდენჯერმე სადღაც წავიდნენ. როგორც კი ირიჟრაჟა, ყველანი ფრთხილად გამოვიდნენ პაპკოვის ოთახიდან და ჭალისაკენ გაეშურნენ. როცა მოწინააღმდეგენი დამბაჩებით დანიშნულ ადგილზე დადგნენ, პუშკინმა მიმართა: — ბატონებო, გთხოვთ ჩემს განკარგულებას უსმინეთ და მხოლოდ მესამე თვლაზე ისროლოთ. ომახიან შეძახილზე დაიგუგუნა და მოულოდნელმა სურათმა მოწინააღმდეგენი დააბნია და გაანაწყენა. პუშკინმა კი მიმართა: ბატონებო, თუ მკვლელობა მოხდება, ეს მეც დამღუპავს და თქვენც ყველას, ამიტომ რუსეთის სახელით გთხოვთ, შერიგდეთ. პოეტი ნერვიულობდა, მძიმედ სუნთქავდა. მისი ცეცხლოვანი თვალები ცრემლით იყო სავსე. სწრაფად მიდიოდა ხან კარაიანთან, ხან პაპკოვთან, მაგრამ ისინი ჯიუტობდნენ. ბოლოს პაპკოვმა დამბაჩა დაუშვა, მივიდა კარაიანთან და უთხრა: — მე შენთან მართალი არ ვარ, გთხოვ მაპატიო! კარაიანმა გაწვდილი ხელი ჩამოართვა. ყველანი სიხარულით მისცვივდნენ მათ და ხან ერთს ჰკოცნიდნენ, ხან მეორეს. უფრო მეტად კი ა. პუშკინს, რომლის გენიამაც მოხერხებულად გადაარჩინა ადამიანის სიცოცხლე. შემდეგ ეს სიხარული შამპანურით აღინიშნა. მომხდარის შემდეგ ა. პუშკინს ყარაღაჯში აღარ ედგომებოდა. თბილისში რომ დაბრუნდა, პასკევიჩის ნებართვა დახვდა და 10 ივნისს ფრონტისაკენ გაეშურა, რა გადახდა პოეტს მოქმედ არმიაში, ეს კარგად არის აღნერილი „არზრუმს მოგზაურობაში“.

ლ. პავლიშჩევის ჩანაწერებში 1830 წლის ივლისის შესახებ ნათქვამია, რომ. „...პოეტის ძმა, „მამაცი კაპიტანი“, ლევ სერგის ძე შვებულების ვადის გასვლის შემდეგ პეტერბურგიდან ისევ უკან კავკასიაში — ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ადგილსამყოფელში ყარაღაჯში გაემგზავრა. ლ. პუშკინი ამჯერად ყარაღაჯში დიდხანს არ დარჩენილა. მალე მოუხდა ფინეთის პოლკის შემადგენლობაში მონაწილეობა, სადაც პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში ახალი ჯილდოები დაიმსახურა. მაგრამ პოლონეთი მის გულს არ ახარებდა, საქართველოსკენ მოუწევდა გული და 1833 წლიდან ზრუნვა დაუწყია კავკასიის არმიაში დაბრუნებისათვის.

1835-36 წლებში ლ. პუშკინმა მართლაც მთელი საქართველო შემოიარა, მისი ცსოვრების ნავსაყუდარი იყო თბილისი, მეორე სამშობლო — ყარაღაჯი და დედოფლის წყარო, ხოლო ოცნების ტაძარი, სადაც გატარებული თხუთმეტი და კიდევ ბევრი სხვა დღე „სიცოცხლის ყველაზე ბედნიერ დღეებად მიაჩნდა — წინანდალი. ლეონ პუშკინი ძმის გარდაცვალების დროსაც საქართველოში იყო და კაზაკთა სახასო პოლკში მსახურობდა.

მოამზადა *ილია მარტყოფლიშვილმა*

/მეოთხე გვერდიდან/

► საქართველო დღეს ახალ ცხოვრებას იწყებს. მისი სასიცოცხლო აპარატის დარჯნი ქართველი სტუდენტობა-ახალგაზრდები უნდა იყვნენ. შექმნილი პოლიტიკური ვითარება არ გასთელავს იმ წმინდა დროშას, რომელსაც ქართველი დღემდე მისდევდა და მშრომელ კლასის სისხლით ეწერა „გამარჯვება სოციალიზმსა და შეკავშირებას“. თავისუფალ საქართველოს ყველა სოციალისტურ რესპუბლიკებთან. ღრმად გვწამს, ჩვენი ახალგაზრდობა მჭიდროთ შეკავშირდება და ყოველგვარ დახმარებას გაუწევს საქართველოს სოციალისტურ მთავრობას.

► 4 მარტს ალექსანდროვის ბაღში ერთ დიდ გათხრილ სამარეში მოთავსდნენ ერთიმეორის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული გლეხების შვილები. უკანასკნელად დაიტირეს 42 ამხანაგი. რევოლუციის მსხვერპლთა ძმური საფლავი გაითხარა იქ, სადაც 1918 წლის დასაწყისში პირველად დაიღვარა მენშევიკების მიერ მუხანათურად ნასროლი ტყვიით თბილისის მშრომელთა სისხლი.

► **6 მარტს რაიონებში შესდგება მიტინგები შემდეგ თემებზე: 1) რისთვის მოვიდა წითელი ჯარი. 2) საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა საქართველო.**

► საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშურ გლეხური მთავრობა უკუაგდებს შურისძების გრძნობას პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ, რომელნიც 3 წელი ახშობდნენ მშრომელთა ყოველგვარ ცდას საბჭოთა მთავრობის დამყარებისთვის. გააფთრებით სდევნიდნენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, კომუნისტურ პარტიას. ***ვადგენთ:*** გამოეცხადოს ამნისტია პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც აქტიურათ გამოდიოდნენ წინააღმდეგ საბჭოთა ძალაუფლებისა და კომუნისტური პარტიისა. ამ ამნისტიის ძალით არცერთი წევრი არ უნდა იქნეს დაკავებული და დევნილი.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე მამია ორახელაშვილი, 25 თებ, 1921 წ, ქ. ტბილისი.

► **აღსრულდა! საქართველოს მშრომელმა ხალხმა, წითელი რუსეთის დახმარებით დაამსხვრია მენშევიკური ბატონობის ჯაჭვები. 4 მტანჯველი წელი გაგრძელდა ეს ბატონობა. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციიდანვე საქართველოს დაეპატრონა ჟორდანია-რამიშვილის პარტია. ყველასთვის ცხადია ამ 4 წლის განმავლობაში მშრომელ ხალხს გასახარი არა უნახავს რა. დიქტატურა, თავაშვებული ვაკხანალია, ქეიფი და ლოთობა, ყოველივე სიწმინდის ტალახში ამოსვრა. მოკლეთ ასეთი იყო მენშევიკური საქართველოს სინამდვილე. ისტორიაში ძვირად შეხვდებით ასეთ ცინიზმით და უპასუხისმგებლობით აღსავსე სახელმწიფოს.** და აი, საქართველოს საუკეთესო შვილთა და დამცველთა, წამებულთა ფიქრი სინამდვილედ იქცა. **დღეს საქართველოს მშრომელი ხალხი თავისუფალია! ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.** ამიერიდან მხოლოდ თავის თავს და საერთაშორისო რევოლუციას ეკუთვნის. მან თავი დააღწია ნახევრად მკვდარ, ძირგამომპალ იმპერიალიზმის კლანჭებს. ტანჯვით, მაგრამ მაინც გაიკაფა გზა კომუნიზმისკენ. ამიერიდან ეს გზა იქნება ერთადერთი. **წყევლით და კრულვით მოიგონებს ისტორიის სამარცხვინო ფურცლებს.** კომუნისტური პარტია და გაზეთი „კომუნისტი“ ულოცავს მშრომელ ხალხს ამ დიად გამარჯვებას. **მშრომელო, თავისუფალი ხარ! დაამტკიცე, რომ ღირსი იყავ ამის!**

► უკანასკნელ ხანს სპეკულიანტ გადახვეწილებისგან მენშევიკების ლოცვა-კურთხევითა და მონაწილეობით ითხზებოდა საბჭოთა რუსეთის შესახებ ათასგვარი არაკები და ზღაპრები. მშრომელი ხალხის ნაწილი დაარწმუნეს ჭორების ქარხანაში შეთითხნულ უწმინდურ ცილისწამებაში. სამშობლოს იარაღით და ქართველების სისხლით აკეთებდნენ რუსული რევოლუციით გამორეკილ მუქთახორა სპეკულიანტების საქმეს. 2 მარტი 1921 წ. **გაზეთი** „კომუნისტი“.

„ზესახელმწიფოების რბოლა“ - ქვეყნები, რომლებიც მსოფლიო ხელოვნური ინტელექტის ფორმირებაში პირველობისთვის იბრძვიან

მას შემდეგ, რაც ხელოვნურმა ინტელექტმა (AI) მსოფლიოს მასშტაბით ინდუსტრიებისა და საზოგადოებების ტრანსფორმაცია დაიწყო, ქვეყნებმა პირველობისთვის ნამდვილი „ომი“ წამოიწყეს.

ჯერჯერობით ძირითადი კონკურენცია აშშ-სა და ჩინეთს შორის გამოიკვეთა, თუმცა, „ზესახელმწიფოს“ და მსოფლიო ციფრული ლიდერის სტატუსისთვის სავარაუდოდ, დედამიწის ყველა დიდი ქვეყანა იბრძოლებს.

AI-ს პიონერები დღეს არა მხოლოდ დიდ ინვესტიციებს ახორციელებენ კვლევასა და განვითარებაში, არამედ ქმნიან საჭირო ინფრასტრუქტურას და საფუძვლებს ინოვაციური ტექნოლოგიის განვითარებისთვის.

გაერთიანებული სამეფოს საინფორმაციო საიტმა Tortoise Media-მ შექმნა გლობალურად, AI-ს საუკეთესო ინდექსის მქონე ტოპ ქვეყნები. Tortoise Media AI ინდექსს ადგენს სამი ძირითადი ინდიკატორის მიხედვით. ესენია: ინვესტიცია, ინოვაცია და მიმღებლობა.

იგი ასევე აფასებს თითოეული ქვეყნის AI შესაძლებლობების მასშტაბებს და მათ გავლენას გლობალურ სცენაზე.

წარმოგიდგენთ საუკეთესო ინდექსის მქონე ქვეყნებს:

აშშ,საერთო ქულა: 100

ამერიკა მსოფლიო ლიდერია ხელოვნური ინტელექტის უმეტეს სფეროებში, მათ შორის არის: გენერაციული AI, ბუნებრივი ენის დამუშავება (NLP) და მანქანური სწავლება.

MIT-დან და სტენფორდის უნივერსიტეტიდან დაწყებული - კარნეგი მელონის უნივერსიტეტით დასრულებული, შეერთებული შტატები ამაყობს მსოფლიოს წამყვანი AI კვლევითი ინსტიტუტებით.

მისი ტექნიკური გიგანტები: Microsoft, Apple, NVIDIA და Alphabet, დიდწილად დომინირებენ გლობალურ ბაზარზე და ქვეყანა ბევრად წინ უსწრებს სხვა ქვეყნებს ხელოვნური ინტელექტის დაფინანსებით.

თუმცა, DeepSeek-ის გაშვებამ, შეარყია ამერიკის დომინირება.

დონალდ ტრამპმა ახლახან გამოაცხადა Stargate-ის უპრეცედენტო გეგმა, რომლის მიხედვითაც, ხელოვნური ინტელექტის ინფრასტრუქტურის ასაშენებლად აშშ-ში 500 მილიარდი დოლარი დაიხარჯება.

ეს არის AI ინფრასტრუქტურაში აქამდე განხორციელებული ყველაზე დიდი ინვესტიცია.

ჩინეთი,საერთო ქულა: 54

ჩინეთი შეიძლება იყოს მეორე ადგილზე ხელოვნური ინტელექტის რბოლაში, მაგრამ მისი ქულა ყოველდღიურად იზრდება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მეორე ადგილზეა ხელოვნური ინტელექტის დანახარჯებით და ლიდერობს ხელოვნური ინტელექტის რამდენიმე სფეროში, მათ შორის სახის ამოცნობისა და კომპიუტერული ხედვის ჩათვლით.

ფირმა Pony AI არის ჩინეთის წამყვანი AI კომპანია, რომლის ღირებულება 4.75 მილიარდი დოლარია.

უფრო მეტიც, ჩინური ხელოვნური ინტელექტი ჩატბოტის DeepSeek-ის ბოლო გაშვებამ განაცვიფრა მსოფლიო და შედეგად დაეცა NVIDIA-ს, Microsoft-ის და სხვათა აქციების ფასები.

სინგაპური,საერთო ქულა: 32

სინგაპურმა ინდექსში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ქულა მოიპოვა.

ქალაქ-სახელმწიფოს ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მაღალი ხარჯები აქვს ხელოვნური ინტელექტის სფეროში.

სახელმწიფომ თავისი პირველი ეროვნული AI სტრატეგია 2019 წელს წამოიწყო. აქვს კვლევითი ინსტიტუტები და დინამიკური სტარტაპები.

მას აქვს პოტენციალი, რომ გახდეს საუკეთესო გლობალური ცენტრი AI ინოვაციებისთვის.

დიდი ბრიტანეთი,საერთო ქულა: 30

კიდევ ერთი ქვეყანა, რომელსაც აქვს მაღალი ქულები, არის დიდი ბრიტანეთი.

დიდ ბრიტანეთს აქვს ძლიერი პოზიცია ხელოვნური ინტელექტის კვლევასა და ინოვაციებში. ოქსფორდის უნივერსიტეტი მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში მონაცემთა მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის მიხედვით.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა კირ სტარმერმა ცოტა ხნის წინ პირობა დადო, რომ AI-ს განვითარებისთვის უახლოესი პროგრამის მიხედვით 17,4 მილიარდ დოლარს დახარჯავს.

საფრანგეთი,საერთო ქულა: 28

საფრანგეთი კარგად არის პოზიციონირებული გლობალურ AI რბოლაში. ეს მისმა ძლიერმა აკადემიურმა ბაზამ, გულუხვმა ინვესტიციებმა და ინოვაციებზე ფოკუსირებულმა პროგრამებმა განაპირობა.

AI-ში კერძო ინვესტიციები მზარდია ქვეყანაში. მაგალითად, ფრანგულმა გენერაციულმა AI-ს სტარტაპმა Mistral AI-მა 2023 წელს 503 მილიონი აშშ დოლარი მოიზიდა.

წყარო: lovemoney.com

სამუშაო ადგილები, რომლებიც 2040 წლისთვის გაქრება - რომელ პროფესიებზე გაიზრდება მოთხოვნა

რამდენადაც ხელოვნური ინტელექტი (AI) და სხვა ტექნოლოგიები გასაოცარი სისწრაფით ვითარდებიან, მხოლოდ დროის საკითხია სამუშაო ბაზრის სახეცვლილება.

მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი ყველაზე გავრცელებული სამუშაო ადგილები, 2040 წლისთვის საერთოდ გაქრება, თუმცა, გაიზრდება ისეთი პროფესიების საჭიროება როგორიცაა მებაღე და სხვა.

საინტერესოა, რა პროფესიებს აირჩევენ მომავალში აბიტურიენტები? შესაძლოა, პროგნოზი მომავლის განსაზღვრაში დაგეხმაროთ.

მოსალოდნელია, რომ მომავალში მოთხოვნადი იქნება შემდეგი პროფესიები:

მონაცემთა მეცნიერი

დღეს, მონაცემთა მეცნიერები აგროვებენ, აანალიზებენ და ინტერპრეტაციას უკეთებენ მონაცემებს. ასევე წერენ რთულ კოდებსა და ალგორითმებს.

2040 წლისთვის, ხელოვნური ინტელექტი, სავარაუდოდ, მონაცემთა ნაკრების საფუძველზე თავად შექმნის ალგორითმებს. თუმცა, კვლავ იქნება დიდი მოთხოვნა ადამიანთა მომზადების ექსპერტებზე, რათა ზედამხედველობა გაუწიონ ხელოვნური ინტელექტის მიერ შესრულებულ სამუშაოს.

მანქანათმცოდნე ინჟინერი

მანქანათმცოდნეობის ინჟინრები ხელოვნური ინტელექტის სისტემების კვლევისა და შექმნისას უფრო პრაქტიკულ დავალებებს ასრულებენ.

მიუხედავად იმისა, რომ AI, სავარაუდოდ, მომავალში შეასრულებს ამ სამუშაოს ზოგიერთ ასპექტს, მანქანათმცოდნეობის ინჟინრები აუცილებლად იქნებიან ბიზნესში.

ხელოვნური ინტელექტის სისტემებს კვლავ დასჭირდებათ კონტროლი კომპეტენტური პირების მიერ.

რობოტების ინჟინერი

რობოტები, რომლებიც ქმნიან რობოტებს, უკვე არსებობენ. მაგრამ ბევრი რთული პროექტი კვლავ მოითხოვს ორგანიზებას და ზედამხედველობას.

მაგალითად, აუცილებელია ადამიანის ჩართულობა ხორცისა და სისხლის რობოტიკის ინჟინერიაში და აღნიშნული მუდმივად ასე იქნება.

ამ მომგებიან სფეროში მოსახვედრად, სავარაუდოდ, დაგჭირდებათ დიპლომი AI-სა და რობოტიკაში, კომპიუტერულ მეცნიერებაში, რობოტიკაში ან მასთან დაკავშირებულ სფეროში.

ქარის ტურბინის ტექნიკოსი

რამდენადაც მსოფლიოს დიდი ნაწილი ცდილობს გახდეს ნახშირბად ნეიტრალური, სამუშაო ადგილები განახლებადი ენერგიის სექტორში სწრაფად იზრდება.

ქარის ტურბინების ტექნიკოსები იქნებიან ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროფესიონალთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ რობოტებმა შეიძლება შეასრულონ ამ როლის ზოგიერთი ასპექტი, რომელიც მოიცავს ქარის ტურბინების ინსტალაციას, შემოწმებას და მომსახურებას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ 2040 წლისთვის ისინი სრულყოფილები იქნებიან.

მებაღე

იმის გამო, რომ კლიმატის ცვლილება უკვე საგანგაშო ნიშნულზეა, დროსთან ერთად იზრდება მოთხოვნა მებაღეებზე. მცენარეთა ექსპერტებს მოუწევთ შექმნან და მართონ ხეების დარგვის მასიური პროექტები, რომლებიც საჭირო იქნება გლობალური დათბობის შედეგების შესამცირებლად.

სამუშაო ადგილები, რომლებიც სავარაუდოდ გაუჩინარდება:

ქარხნის არაკვალიფიციური მუშაკი

ქარხნის სამუშაოები მალე სრულად ავტომატიზებული გახდება. ფირმები უკვე ამუშავებენ 24/7 საწარმოო ობიექტებს, რომლებიც 100% ავტომატიზებულია. მაგალითად, იაპონური რობოტიკის კომპანია FANUC, უკვე იყენებს სამრეწველო რობოტებს სხვა რობოტების ასაწყობად და ჰოლანდიური კონგლომერატი „ფილიპსი“ - ქარხანაში, მხოლოდ ცხრა ადამიანია დასაქმებული.

საწყობის მუშაკი – ნივთის შემფუთავი

შესაძლოა, საწყობის შემფუთავებს ალტერნატიული კარიერების ძებნა მოუწიოთ. ტრანსპორტირებისთვის საქონლის მომზადება და შეფუთვა მოითხოვს შეზღუდულ უნარებს და ადვილად სრულდება რობოტების მიერ.

მაგალითად, თავის საწყობებში 100%-იანი ავტომატიზაციის მისაღწევად, Amazon-მა 2022 წელს წარმოადგინა Proteus - კომპანიის პირველი სრულად ავტომატიზებული ბოტი. საცალო ვაჭრობებს, როგორიცაა ჩინეთის JD.com და ბრიტანული Ocado, უკვე აქვთ რობოტებით დაკომპლექტებული ობიექტები.

მოლარე

ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა სუპერმარკეტები, სადაც გადახდა ავტომატურად ხდება.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში უკვე არის მაღაზიები, სადაც ყველაფერი 100%-ით ავტომატიზებულია. იქ არ არიან დასაქმებულები მოლარე და კონსულტანტები.

პარკინგის ოპერატორი

მთელი რიგი ტექნოლოგიები, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის მქონე ჭკვიანი პარკირების სისტემები, რობოტული კამერები და მობილური აპლიკაციები, საფრთხეს უქმნის პარკინგის ოპერატორ ადამიანებს. ისინი უბრალოდ აღარ არიან საჭიროები.

ტელეფონის ოპერატორი

ეს შეიძლება მოულოდნელი იყოს, მაგრამ მალე სატელეფონო ოპერატორები (ცხელი ხაზის გარდა), აღარ იარსებებენ.

ტელეფონის ავტომატიზაცია უკვე საკმაოდ დიდი ხანია არსებობს და ხელოვნური ინტელექტის მქონე ხმოვანი ასისტენტები საკუთარ სამუშაოს შესანიშნავად ასრულებენ. მოსალოდნელია, რომ 2040 წლისთვის არსებული სექტორი მთლიანად ავტომატიზირებული გახდება.

წყარო: lovemoney.com

ევროკავშირი სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტს შეზღუდავს

ევროკომისია სოფლის მეურნეობის არაერთი პროდუქტის იმპორტის აკრძალვას განიხილავს, რომელიც პესტიციდების გამოყენების ევროპულ სტანდარტებს არ შეესაბამება. აკრძალვა, მათ შორის, აშშ-ის პროდუქტებს შეეხება.

ინფორმაციას Finiancial Times ავრცელებს.

გამოცემის თანახმად, ევროკავშირი თავისი ფერმერების დასაცავად სხვადასხვა სტანდარტის მიხედვით წარმოებული საკვები პროდუქტების იმპორტის აკრძალვას განიხილავს.

სამი წყაროს ცნობით, მიმდინარე კვირას ევროკომისია უფრო ფართო სავაჭრო შეზღუდვების განხილვას დაიწყებს, რაც დამტკიცების შემთხვევაში სავაჭრო პარტნიორებს შორის მნიშვნელოვან აღშფოთებას გამოიწვევს. ერთ-ერთი პირველი, რაზეც შეზღუდვები დაწესდება, შესაძლოა, აშშ-ის სასოფლო-სამეურნეო კულტურები იყოს, როგორიც არის, მაგალითად, სოია. მის მოსაყვანად აშშ-ში იმ პესტიციდების გამოყენება არის დაშვებული, რომლებიც ევროპელი ფერმერებისთვის ნებადართული არ არის.

„ჩვენ გვაქვს მეტად მკაფიო სიგნალი როგორც პარლამენტისგან, ასევე, წევრი ქვეყნებიდან და ფერმერებისგან, რომ რაც აკრძალულია ევროკავშირში, უნდა აიკრძალოს ევროკავშირის თითოეულ ქვეყანაში, თუნდაც ეს იმპორტირებული პროდუქტები იყოს,“ - აცხადებს ევროკავშირის ჯანდაცვის კომისარი, ოლივერ ვარჰეი.

ევროკავშირის ამ გეგმას სოფლის მეურნეობის „საგზაო რუკა“ ითვალისწინებს, რომელიც პროფილურმა ევროკომისარმა, კრისტოფ ჰანსენმა მოამზადა. მისი ცნობით, საუბარია მხოლოდ ყველაზე საშიშ პესტიციდებზე, ასევე, რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე კონკურენციაზე გავლენაც შეფასდება.

ამასთან, ევროკომისია ახალ სავაჭრო შეთანხმებებში ცხოველთა კეთილდღეობის სტანდარტების ჩართვას განიხილავს, რაც ევროპელი ფერმერების პროდუქციას აძვირებს.

გამოცემის ერთ-ერთი თანამოსაუბრე ამბობს, რომ ეს ზომები ევროკავშირის მიერ დადებული სავაჭრო შეთანხმებების მიმართ საზოგადოების მხარდაჭერას გაძლიერებს, რადგან ევროპულ ბაზარზე ევროკავშირზე უარესი სტანდარტების მქონე პროდუქცია შედის, რასაც ევროპელი ფერმერები კონკურენციას ვერ უწევენ.

ცნობისთვის: აქტივისტების ჯგუფ Pesticide Action Network Europe-ის ბოლო ანგარიშის მიხედვით, ევროკავშირში იმპორტირებული ბევრი პროდუქტი პესტიციდების დაშვებულ ნორმაზე მეტ ნარჩენს შეიცავს. ეს ყველაზე ხშირად ჩაის (ნიმუშების 38%) და ყავას (ნიმუშების 23%) ეხება.

გვერდი მოამზადა

✍ ქუქუნა ყანჩაშვილმა

ფსიქოლოგიური წვრთნა — საწვრთნელად გონებისა

გთავაზობთ ფსიქოლოგიურ სავარჯიშოთა სპექტრს, რომლიდანაც შეგიძლიათ აირჩიოთ და შეასრულოთ ისინი, რომლებიც თქვენს აქტუალურ პრობლემებს და მდგომარეობას ეხმაურება.

„სიჩუმის ტაძარი“

ამ სავარჯიშოს მიზანია შინაგანი კონცენტრაცია რაიმე საქმის დაწყების წინ.

წარმოიდგინეთ, რომ სეირნობთ ხალხმრავალი და ხმაურიანი ქალაქის გარეუბანში... სცადეთ წარმოიდგინოთ როგორ ეხებით ქვაფენილს... მიაქციეთ ყურადღება გამვლელებს, მათი სახის გამომეტყველებას, ტანის მიხვრა-მოხვრას... ხედავთ, რომ ზოგიერთი გამოიყურება აღელვებულად, სხვები მშვიდნი და გახარებულნი არიან... მიაქციეთ ყურადღება ტრანსპორტს, მის სიჩქარეს, ხმაურს... გუგუნებენ ავტომანქანები... კივიან მუხრუჭები... ეგებ სხვა ხმებიც გესმით? თვალი შეავლეთ მაღაზიის ვიტრინებს... აგერ არის საფუნთუშე, საყვავილე... ეგებ ნაცნობი სახე შენიშნეთ ხალხში? მიუახლოვდებით და მიესალმებით თქვენს ნაცნობს, თუ გვერდს აუვლით? შეჩერდით და დაფიქრდით, რას განიცდით ამ ხმაურიან და საქმიან ქუჩაში. დროა მოუხვიოთ და უფრო წყნარ ქუჩაზე ისეირნოთ. აგრძელებთ სეირნობას და ამჩნევთ დიდ შენობას, რომელიც თავისი არქიტექტურით გამოირჩევა. დიდი აბრა გვამცნობს – „სიჩუმის ტაძარი“. ხვდებით, რომ ეს ტაძარი ადგილია, სადაც არ ისმის არავითარი ხმები, სადაც არასოდეს წარმოთქმულა არცერთი სიტყვა. უახლოვდებით მას და ხელს კიდებთ მძიმე, ჩუქურთმებიან ხის კარებს. აღებთ კარს, შედიხართ და მაშინვე მოგიცავთ სრული და ღრმა სიჩუმე...

როცა დააპირებთ შენობიდან გასვლას, მიაწექით ხის კარებს და გადით ქუჩაში. როგორ გრძნობთ ახლა თავს? დაიხსომეთ გზა, რომელსაც სიჩუმის ტაძრამდე მივყავართ, რათა როცა ისურვებთ ისევ ეწვიოთ მას.

„საღამოხანის მიმოხილვა“

ამ სავარჯიშოს მიზანი ორგვარია: თავიდან ავირიდოთ მოვლენათა გადაკეთება-გალამაზების სურვილი და უკეთ გავიგოთ საკუთარი თავი. შემწყნარებელნი გავხდეთ საკუთარი თავის მიმართ.

დახუჭეთ თვალები, დაჯექით სწორად. რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ. ყურადღება მიაქციეთ სუნთქვას. ამის შემდეგ სცადეთ გაიხსენოთ დღევანდელი დღე უკუთანმიმდევრობით. გაიხსენეთ ყველაფერი, რაც მოხდა და რაც გააკეთეთ დღის მანძილზე, იმ მომენტამდე, როცა დილით გამოგეღვიძათ. სცადეთ გაიხსენოთ სიზმრები. ყველაფერი ეს წყნარად და აუღელვებლად გააკეთეთ. გაიხსენეთ დღის მანძილზე მომხდარი ამბები, მაგრამ ნუ გააცოცხლებთ მათ. ფანტაზიებს ნუ მიეცემით, ნუ დაიწყებთ თამაშს: „მე რომ ეს გამეკეთებინა...“ თუ გიჭირთ დარჩეთ მიუკერძოებელი, წარმოიდგინეთ, რომ ეს სხვა ადამიანის ცხოვრებაა, რომელიც გიყვართ ისეთი, როგორიც არის.

„ხოტბა საკუთარ თავს“

ამ სავარჯიშოს მიზანია განვლილი ცხოვრების გააზრება და მისი საზრისის პოვნა.

10 წუთის მანძილზე, თვალდახუჭულმა, გაიხსენეთ საკუთარი ცხოვრება. დაიწყეთ ყველაზე ადრეული ბავშვობის მოგონებებიდან. გაიხსენეთ ყველა თქვენი მიღწევა, ყოველი თქვენი წარმატება, დამსახურება, ყოველი ბოლომდე მიყვანილი საქმე, რომლითაც შეგიძლიათ იამაყოთ.

უარი თქვით თავმდაბლობაზე და თქვენი ღირსების დამაკნინებელ შენიშვნებზე (მაგ: „ჯგუფში პირველი სტუდენტი ვიყავი, თუმცა, ჯგუფში სულ ათნი ვსწავლობდით. უკუაგდეთ წინადადების მეორე ნაწილი და დატოვეთ მხოლოდ პირველი). განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ მოვლენებს, რომლებიც თქვენ რომ არა, სულ სხვანაირად შემობრუნდებოდნენ.

ნუ გამოგრჩებათ ნურც ის თქვენი ნამოქმედარი, რომელიც ვინმეს შეიძლება იოლი მოეჩვენოს, თქვენთვის კი საკმაოდ ძნელი მისაღწევი იყო.

„ვინ ვარ მე“

ამ სავარჯიშოს მიზანია საკუთარი მე-ს განცდაში ჩაღრმავება.

დაჯექით სწორად, ზურგი გამართეთ, თვალები დახუჭეთ, რამდენჯერმე ხმამაღლა ამოისუნთქეთ, მიჰყევით საკუთარ სუნთქვას, შემდეგ გაიმეო„რეთ ხმამაღლა ან თქვენთვის ჩუმად: **მე მაქვს სხეული, მაგრამ მე სხეული არა ვარ!**“

ჩემი სხეული შეიძლება იყოს ავად, ან კარგად, იყოს დაღლილი ან მხნე, მაგრამ ეს მოქმედებს ჩემზე, ჩემს ჭეშმარიტ მეზე. ჩემი სხეული შესანიშნავი საშუალებაა, რომ სამყარო აღვიქვა და ვიმოქმედო, მაგრამ იგი მხოლოდ და მხოლოდ საშუალებაა. მე მას ვუფრთხილდები, ვუვლი, რომ იგი ჯანმრთელი იყოს, მაგრამ ჩემი სხეული ჩემი „მე“ არ არის.

მე მაქვს სხეული, მაგრამ მე არ არის ჩემი სხეული. მე სხეული არა ვარ.

მე მაქვს გრძნობები, მაგრამ მე გრძნობები არა ვარ, ჩემი გრძნობები მრავალფეროვანია, ცვალებადი და ურთიერთსაპირისპირო, მაგრამ მე მუდამ ვრჩები „მე“-დ, იმად, რაც ვარ – მიხარია თუ ვდარდობ, მშვიდად ვარ თუ ვღელავ, იმედით შევცქერი მომავალს, თუ სასოწარკვეთილებას ვეძლევი. რაკი შემიძლია თვალი გავადევნო, გავიგო და შევაფასო საკუთარი გრძნობები. და მეტიც, ვმართო ისინი, ვფლობდე საკუთარ გრძნობებს, გამოვიყენო ისინი – გამოდის, რომ ჩემი გრძნობები ჩემი „მე“ არ არის.

*მე მაქვს გრძნობები, მაგრამ მე არ არის ჩემი გრძნობები.

*მე გრძნობები არა ვარ.

*მე მაქვს გონება, მაგრამ მე გონება არა ვარ.

*ჩემი გონება საკმაოდ განვითარებული და აქტიურია. იგი ჩემთვის გარესამყაროს და შინაგანი სამყაროს შემეცნების იარაღია, მაგრამ იგი ჩემი მე არ არის.

*მე მაქვს გონება, მაგრამ მე არ არის ჩემი გონება. მე გონება არა ვარ.

*მე – წმინდა თვითშემეცნების ცენტრია.

*მე – ნებისყოფის ცენტრია, რომელსაც შეუძლია ჩემი გონების, გრძნობების, ფიზიკური სხეულისა და ყველა ჩემი ფსიქიკური პროცესის ფლობა და მართვა.

*მე ეს არის მუდმივი და უცვლელი მე.

„ემოციური კორექცია“

სავარჯიშოს მიზანია საკუთარი წარსულისადმი საღი დამოკიდებულებისა და აწმყოში ცხოვრების უნარების გამომუშავება.

დაწერეთ ეპიზოდი, რომელიც გაწუხებთ პატარა მოთხრობის სახით, პირველ პირში და აწმყო დროში. სცადეთ, რაც შეიძლება ზუსტად გაიხსენოთ ყველა მოვლენა. აღადგინეთ დიალოგები, აღწერეთ თქვენი განცდები.

შემდეგ ახლიდან დაწერეთ ეს ისტორია ისე, როგორც გინდოდათ რომ ყოფილიყო. გაუსწორდით მდევნელს, შური იძიეთ მტარვალზე ან შეყვარეთ ადამიანი, რომელიც გძულთ. აკეთეთ რაც გინდათ. შეადგინეთ ახალი დიალოგები. აღწერეთ თქვენი განცდები. თქვენით გამოიგონეთ ფინალი და კვანძის გახსნა.

გესიკ გიგოლაშვილი ფსიქოლოგი

დამარხული იმედები

ეს ორი მიტოვებული შენობა ქ. დედოფლისწყაროში სკოლის ქუჩაზე მდებარეობს, ასე ობლად გამოიყურება და მარად „ჭაბუკებად“ დარჩნენ.

1988 წლის მარტში 40 ოჯახი გავწევრიანდით კოოპერატიულ ბინათმშენებლობა „ქიზიყში“. ორი წლის განმავლობაში ყველამ ჩავრიცხეთ თითქმის სრული თანხა, 2 ოთხსართულიანი კორპუსის მშენებლობისთვის. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ 2 წელში ჩასაბარებელი ბინები დღემდე დაუმთავრებელია. 1991 წლის იმერეთის მიწისძვრის შედეგად, დაზარალებული რეგიონის დახმარების მიზეზით ამწე წაიღეს და აღარც დაგვბრუნებია.

1989 წლის 9 აპრილს, 90-იანი წლების სიდუხჭირის და დღემდე საქართველოში განვითარებული, ტკივილიანი მოვლენების მიუხედავად, მცდელობა არ დაგვიკლია, ყველა ინსტანციაში მრავალჯერადი თხოვნა და შეთავაზებები გვქონდა, მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა.

ბოლო წლებში დიდი დაბრკოლებების მიუხედავად ჩვენმა ქვეყანამ, ღმერთის წყალობით, ბეწვის ხიდზე მშვიდობით გაიარა და გადაურჩა უკუსვლასა და განადგურებას. ახლანდელი მთავრობა მცდელობას არ აკლებს საქართველოს განვითარებას და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვას. ჩვენც იმედი მოგვეცა და გვინდა ჩვენს გულში ჩამარხული სურვილები სამზეოზე გამოვიტანოთ და ყველას ვთხოვოთ დახმარება, ვისაც ამის სურვილი და შესაძლებლობა ექნება. 40 ოჯახის უკან ხომ ჩვენი ოჯახის წევრებიც გვიდგას. 35 წელია ჩვენი ახალგაზრდობა ამ საქმესთან ჭიდილს შევალიეთ. უკვე შვილიშვილებიც მოგვესწრო. **1999 წლიდან ჩვენი ჩარიცხული თანხები სახელმწიფო შიდა ვალად იქნა აღიარებული. დღეს, ღმერთის წყალობით, ჩვენი მთავრობის მესვეურების გულისხმიერების გვწამს. გვჯერა, რომ 40 ოჯახს გვიპატრონებენ, ლტოლვილების მსგავსად უომრად დაზარალებულებს და სახლკარდაქცეულებს მოგვხედავენ და ჩვენთვის სასიკეთო გამოსავალს იპოვიან.**

ღმერთი იყოს ჩვენი და თქვენი მფარველი.

ზემოთ აღნიშნულს ხელს ვაწერთ:

დაზარალებული ოჯახები

ერთი კადრი წარსულიდან

1960 წელი, ქ წითელწყარო, 9 ძმის ქუჩა. ყოფილი კალინინის, გასაბჭოებამდე კი ბულვარის ქუჩა, სტადიონთან. გადაღებულია სადგურის მხრიდან. ფოტო დაცულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ვერცხლის მედალი ჭადრაკში

15-16 თებერვალს ქ. გურჯაანში ჩატარდა რეგიონალური ჩემპიონატი 14 და 18 წლამდე ასაკის გოგონათა და ჭაბუკთა შორის. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან ტურნირისათვის შერჩეული იქნა 7 ბავშვი, მაგრამ ავადმყოფობის (ვირუსული ინფექცია) გამო მონაწილეობა მიიღო მხოლოდ სამმა მოჭადრაკემ. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩვენმა მოსწავლემ, 11 წლის **სალომე კვინინაშვილმა** 18 წლამდე ასაკის გოგონათა ჯგუფში იასპარეზა, დიდი შემართებით იბრძოლა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

„პერსპექტიული ახალგაზრდაა, ვულოცავ მას ამ წარმატებას და ვუსურვებ საქართველოს ჩემპიონატზე საპრიზო ადგილის დაკავებას, რათა შემდგომად გზა გაიხსნას ევროპისა და მსოფლიოს ასპარეზზე,“ - აღნიშნავს მთავარი მწვრთნელი გოგი კიკილაშვილი. ***შირაქი***

როცა ხელსაქმე მხოლოდ ჰობი არ არის...

ხელსაქმე დედოფლისწყაროში მცხოვრები რუსუდან გონაშვილისთვის მხოლოდ ჰობი არ არის. ეს-ინტერესი მას ბავშვობიდან ჰქონდა და გადანყვიტა პროფესიონალურ დონეზე შეესნავლა. ახლა რუსუდანი სხვადასხვა მარკეტინგულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობს, რომლებიც მის ნამუშევრებს მომხმარებლებს სთავაზობენ. ასევე, სოციალურ ქსელებში აქვს საკუთარი გვერდი, რომლის მეშვეობით, მსურველებს მისი ნამუშევრების შეძენა შეუძლიათ.

რუსუდან გონაშვილი: „ვიტყოდი, რომ ჩემს შემთხვევაში გავლენა არავის მხრიდან არ ყოფილა, ძალიან პატარაობიდან მომწონდა ხატვა. საბავშვო ბაღიდანვე ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ბედნიერი წუთები მაშინ დგებოდა, როცა ხატვას ვიწყებდი. ეს ინტერესი უფრო და უფრო ღრმავდებოდა. შემდეგ ნელ-ნელა სურვილი გამიჩნდა, ლამაზი თვლებით ამეწყო სამკაულები, ან რაიმე გამეფორმებინა. ასევე, პატარა ნაჭრებით ვცდილობდი პატარა საფულეები და ნივთები გამელამაზებინა. ასე რომ, პატარა ასაკში ვთქვი, რომ დიზაინერი მინდოდა ვყოფილიყავი. ეს აზრი დღემდე არ შემიცვლია. ჩემში ისევ ძლიერია ხელოვნებისადმი სიყვარული, ხედვა და დამოკიდებულება. ამიტომაც, ყოველთვის ვამბობ, რომ ბავშვობაში ეს ინტერესი სულ თან მდევდა.

— ***შემდეგ ვინ დაგეხმარა სწავლასა და განვითარებაში?***

— დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა დავამთავრე, ახლა ვსწავლობ ქართულ ფილოლოგიას, საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტში, ბოლო კურსზე ვარ. დაახლოებით მეოთხე კლასში ხელოვნების მასწავლებელმა ირინა იაკობიშვილმა მოგვცა დავალება, სადაც უნდა დაგვეწერა თემა, თუ მომავალში რა პროფესიის ადამიანები გვინდოდა ვყოფილიყავით, რისი კეთება მოგვწონდა და ა.შ. ჩემი დაწერილი ეს ტექსტი მასწავლებელმა ახლახან გამომიგზავნა, აღარ მახსოვდა და ძალიან გამიხარდა. ტექსტში ვწერდი, რომ მიყვარს კერვა. მეოთხე კლასში დაწერილი ჩემი სიტყვები გამართლდა და დღემდე ასე მოვდივარ. პროფესიულ დონეზე ვეუფლები ასევე ჭრა-კერვას

ასევე დაახლოებით მე-4 მე-5 კლასში ვიქნებოდი, როცა დედოფლისწყაროს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაიხსნა ტრადიციული ხელსაქმის წრე. ცხადია, მაშინვე შევედი და ბისერებით მძივების აწყობა და ხელნაკეთი ნივთების მომზადების ხერხები ვისწავლე. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა მასწავლებელს, ლია ნატროშვილს ჩემთვის ამ საწყის საფეხურზე დახმარებისთვის. 2015 წელს გამოფენაც მქონდა, ჩემი ხელნაკეთი ნივთები წარვადგინე. სწორედ მაშინ გავიცანი სამხატვრო სკოლის მასწავლებელი აკაკი მერაბიშვილი. გამოფენაზე მან ასეთი სიტყვები მითხრა: „შენ სამხატვრო სკოლის გზა არ იციო?“... ასე აღმოვჩნდი დედოფლისწყაროს სამხატვრო სკოლაში. სექტემბერში ხატვაზე მივედი, შემდეგ ტილოზე ხატვას ვსწავლობდი. მალევე ზეთის საღებავებით მუშაობაც დავიწყე.

უკვე მაღალ კლასებში გავიგე, რომ დედოფლისწყაროში არსებობდა კოლეჯი „აისი“ და შემეძლო პროფესიულ დონეზე მესწავლა თექაზე მუშაობა. რა თქმა უნდა, ესეც მაინტერესებდა. სკოლის პარალელურად დავამთავრე ეს სასწავლებელიც. უსაყვარლესი მასწავლებლები მყავდნენ: მზია გელაშვილი, ნინო ბურდული. დღემდე კარგად მახსენდება ისინი.

ასევე 2019 წელს გამოცხადებულ კონკურსში „ნიკალას ფუნჯი“ სოფელ მირზაანში გამართულ ღონისძიებაზე დამასახელეს საუკეთესო ავტორად ფერწერაში. ესეც ერთგვარი მოტივაცია იყო ჩემთვის.

შემდეგ, უკვე გობელენით დავინტერესდი. გობელენზე მუშაობის ხელოვნება ასევე ჩვენს რაიონში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში შევისწავლე. შემდეგ უკვე ჩავაბარე უნივერსიტეტში სამწუხაროდ, პროფესიული არჩევანის გაკეთების დროს ხელოვნების განხრით ვერ წავედი, მაგრამ უნივერსიტეტის პარალელურად ჭრა-კერვის შესწავლა დავიწყე.

ბოლო ხანს თეფშების მოხატვის ხელოვნებამაც გამიტაცა. მასტერკლასი გავიარე და სახლში ვცდილობ ამ მიმართულებითაც ვიმუშაო.

მოკლედ რომ ვთქვა, ხელოვნებას სჭირდება მუდმივად განვითარება და დიდი დრო, რომ იპოვო შენი თავი და სათანადოდ გაიზარდო. ასე ყველაფრის მიმართ ინტერესით ხელსაქმის ბევრი სახეობა ვისწავლე. სოციალურ ქსელში შევქმენი გვერდი GONA და ამხრივ ვაპირებ თანდათან დავხვეწო ჩემი ნაკეთობები და გავიტანო ქართულ ბაზარზე და შემდეგ უკვე ყველაფერი დროის ამბავია. ახლა ხელსაქმე ჩემთვის ყოველდღიურობის

განუყოფელი ნაწილია.

— ***ყოველთვის შეგიძლიათ ხატოთ, თუ განწყობა, ხასიათი და გარემო გჭირდებათ ნამუშევრის შესაქმნელად?***

— რა თქმა უნდა, ხასიათი, განწყობა, გარემო-ყველაფერს დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ყოველივე აუცილებლად ისახება ნამუშევარზე. ხშირად დამიწყია ნამუშევრის შექმნა, მაგრამ გავჩერებულვარ. გასულა კვირა, თვე ან წელი და შემდგომ გამიგრძელებია.

შინაგანი „მე“ ყველა ხელოვანის შემოქმედებაში იმალება, ამით საზრდოობს ხელოვანი, ცდილობს, მთელ სამყაროს დაანახოს ის, რაც ცხოვრებაში არავის უნახავს. ამიტომაა დღემდე შეუცვლელი ვან გოგის ნამუშევრები ჩემთვის.

— ***წინასწარ ხედავთ და იცით რა გამოვა, თუ მუშაობის პროცესში ვითარდება იდეები?***

— ზოგჯერ წინასწარ ვიცი, ზოგჯერ უბრალოდ მირჩევნია დავიწყო და ვიცი, რომ მუშაობის პროცესში გავიკვალავ გზას... ორივე ნაწილი თავისებურად საინტერესოა. როდესაც ვიცი, რა მაქვს გეგმაში, რისი გაკეთება მსურს, ეს იდეა შეიძლება უცებ მგზავრობის დროსს მომივიდეს ან მეგობართან ლაპარაკის დროს, მუშაობისას და ა. შ. მაგრამ როდესაც არ ვიცი რა მინდა, ესეც საინტერესო პროცესია. აკეთებ იმას, რაც თავადვე არ იცი...

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ოთარ ხარაშვილს!

იზოლდი მენთეშაშვილს!

ჩვენს საყვარელ ფუსფუსა მოხუცებს ოთარ ხარაშვილსა და იზოლდი მენთეშაშვილს ვულოცავთ იუბილეს. 84 წელი არც ცოტაა სიცოცხლისთვის და არც ბევრი. გვიყვარხართ და გვინდა დიდხანს და ჯანმრთელად გვყავდეთ.

სიყვარულით: **შვილები, შვილიშვილები და პატარა შვილთაშვილები**

ულოცავენ!

თამაზ შილაკაძეს!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თბილისისა და ბათუმის საპატიო მოქალაქეს, „საქგზამეცნიერების“ გენერალურ დირექტორს, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარეს, სიყვარულის, სიკეთის, სიმართლის მთესველს, თხემით ტერფამდე ინტელიგენტს, ახლობლებისა და მეგობრების გვერდში მდგომს, უკეთილშობილეს, გამოჩენილ პიროვნებას, ბატონ თამაზ შილაკაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს და საქართველოს მასშტაბით გამოვლენილ „ეპოქის ადამიანად“ დასახელებას.

უღრმესი პატივისცემით, **ნანა ჭიჭინაძე და ლალი გურასპაული**

იყიდება

დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 კვ.მ, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 კვ.მ ხეხილით, რკინის კარით. ფასი შეთანხმებით ტელ: 595 32 47 61

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 24.02	სამშაბათი 25.02	ოთხშაბათი 26.02	ხუთშაბათი 27.02	პარასკევი 28.02	შაბათი 01.03	კვირა 02.03
დღე	−2 °	−1 °	0 °	2 °	3 °	5°	6 °
ღამე	−9 °	−9 °	−8 °	−7°	-5 °	-4 °	-2 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება გამომცემლობა „ლაბ კოლორი“-ს სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი